პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი [illegible] კაპ.
ოთხშაბათი,
6
მარტი
1935 წ.
№ 56 (4112)

დღის ნომერში

— ა.-კავკასიის ცაკის VII მოწვევის მე-2 სესია (1-ლი გვ.).
— საკავშირო ცაკის დადგენილებანი (მე-2 გვ.).
— სამედიცინო მუშაკებისათვის შრომის ხელფასის მომატებისა და 1935 წლის ჯანმრთელობის დაცვის საქმეზე ასიგნობების გადიდების შესახებ ს.ს.რ. კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება (მე-2 გვ.).
— ბოლშევიკური ზრუნვა მშრომელთა ჯანმრთელობაზე („პრავდის" მოწინავე—1-ლი გვ.)
— არტელის წესდების დამუშავებას ბოლშევიკური ხელმძღვანელობა (მოწინავე წერილი—1-ლი გვ.).
— ამხ. ფ. მახარაძის სტატია მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღესასწაული (მე-2 გვ.).
— უცხოეთის ინფორმაციები: ინგლისის მინისტრები მზად(?) უმერენ მოსკოვში გამგზავრებას;

არტელის წესდების დამუშავებას ბოლშევიკური ხელმძღვანელობა

Სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი სტალინური წესდების დამუშავება გაცხოველებით მიმდინარეობს საქართველოს ყველა რაიონში ადგილებიდან მიღებული ცნობები მოწმობენ კოლმეურნეთა მასების ახალ საწარმოო ენტუზიაზმის უმაგალითო ზრდას ამ დამუშავებასთან დაკავშირებით გორის, სტალინირის, ახალციხის, ძაპნისის, სიღნაღის, გურჯაანის, ტყიბულის და მთელ რიგ სხვა რაიონებში ეწყობა ახალი კოლმეურნეობები, არსებულებს კომასობრივად ემატება ახალი წევრები.

ახალი წესდების დამუშავებასთან დაკავშირებით მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა მასების განწყობილებისა და სულისკვეთების საუკეთესო გამომხატველია ერთპიროვნული მეურნის კალისტრატე მახათაძის (ზესტაფონი) წერილი, რომელიც გამოქვეყნდა „კომუნისტის" 3 მარტის ნომერში.

ის წერს: „მეგონა კოლექტივში შესვლით ჩემი ოჯახის შემოსავალი შემცირდებოდა, მაგრამ ვატყობ ძალიან მოვტყუვდი. ჩემი მეზობლები ღატაკი გლეხები და ყოფილი მოჯამაგირეები ჭირნახულს ბევრს ღებულობენ. ყოფილ ღარიბებმა პიპიკო და შალიკო კობახიძეებმა კოლექტივიდან მიღებული შემოსავლით წამოჭიმეს ორ-სამ თვალიანი კოხტა, კრამიტით დახურული სახლები, შეიძინეს ძროხა, დაიდგეს ნალიები, გაიჩინეს შინაური ფრინველი... მე დღემდე ვმუშაობდი განუწყვეტლივ, მაგრამ ნაყოფს ბევრს ვერაფერს ვხედავდი... ამდენხანს კოლექტივში შეუსვლელობით ჩემს ოჯახს ზიანი მივაყენე. ახლა სულით და გულით მინდა კოლექტივს წევრად გავხდომა. უკვე შევიტანე განცხადებაო".

ასე ფიქრობენ ახლა პატიოსანი მშრომელი ერთპიროვნული მეურნეთა ათასები და ათიათასები, რომლებიც საბოლოოდ რწმუნდებიან საკოლმეურნეო შრომის უდიდეს უპირატესობაში.

ეს კიდევ უფრო ადიდებს ჩვენს პასუხისმგებლობას საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი განმტკიცების მხრივ, კიდევ უფრო ადიდებს ჩვენს პასუხისმგებლობას სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი წესდების დამუშავების, მიღების და მისი ბოლშევიკურად გატარებისათვის ცხოვრებაში.

სადაც ეს ამოცანა რაიონის და სოფლის თვითეულ მუშაკს შეგნებული აქვს სწორად, იქ ჩვენ ვხედავთ ღრმად მოფიქრებულ, სერიოზულ და ნაყოფიერ მუშაობას, მთელი საკოლმეურნეო ცხოვრების მოსაწყობად ახალი წესდების მიხედვით.

მაგრამ არტელის ახალი წესდების სერიოზულად დამუშავებას და განხორციელებას სოფლის ყველა მუშაკი როდი უდგება საჭირო სერიოზულობით. ახალციხის რაიონში იმის გამო, რომ წესდება თვით ზოგიერთ პასუხისმგებელ მუშაკებსაც კარგად არ ჰქონდათ წესდების დამუშავებული და შესწავლილი ადგილი ჰქონდა საკითხების არასწორად განმარტებას. მაგ. რაიონული გაზეთის რედაქტორმა ამხ. ათაბეკოვმა შეკითხვაზე-საიდან გამოიყოფა კოლმეურნეებისათვის საკარმიდამო მიწები უპასუხა ერთპიროვნულ მეურნეობიდან და საფონდო მიწებიდანო.

ახალ სოფელში (თიანეთის რაიონი) კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ დიმიტრი ქსნელაშვილმა დაუშვებლად მიაჩნია იმ ერთპიროვნული მეურნის კოლმეურნეობაში მიღება, რომელსაც არა აქვს თესლი, მაგრამ კისრულობს მისი ნატურით ანაზღაურებას წესდების მოთხოვნის მიხედვით.

ზოგან ძალზე აჩქარებენ და ვიწრო კამპანიურ ხასიათს აძლევენ ახალი წესდების დამუშავებას. როგორც ჩვენი სენაკელი კორესპონდენტი გვატყობინებს, იქ გადაუწყვეტიათ წესდების განხილვა-დამუშავება, მისი დაყვანა თითეულ კოლმეურნემდე და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნემდე დაამთავრონ არა უგვიანეს 10 მარტისა. რასაკვირველია არავითარი საჭიროება არ მოითხოვს ასეთი რეგლამენტის დაწესებას ფაცი-ფუცსა და ზედმეტ აჩქარებას ამ საქმეში არ შეიძლება მოჰყვეს დამაკმაყოფილებელი შედეგი.

დუშეთის რაიონში იყო ფაქტი, როდესაც პასუხისმგებელი მუშაკი ახალი წესდების დასამუშავებლად სოფელში წავიდა ისე, რომ ხელთ არ ჰქონდა წესდება.

არის აგრეთვე შემთხვევები, როდესაც კოლმეურნეობებზე მიმაგრებული პასუხისმგებელი ამხანაგები ნაცვლად ახალი წესდების წაკითხვის და განმარტებისა, გამოდიან გრძელ-გრძელი ზეპირი მომაბეზრებელი მოხსენებებით ახალი წესდების შესახებ.

ყველა ასეთ და კიდევ სხვა ნაკლოვანებები, რომელსაც შესაძლებელია ადგილი ექნეს ახალი წესდების დამუშავებაში სასწრაფოდ უნდა იქნას გამოსწორებული. არ უნდა დავივიწყოთ რომ ახალი წესდების სწორად გატარება ცხოვრებაში ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ დავამუშავებთ მას, როგორ სწორად აუხსნით და გავაგებინებთ მის თვითეულ პუნქტს კოლმეურნეებს და სოფლის ყველა მშრომელს.

არა ზედმეტი აჩქარება, ზერელობა და მოუმზადებელი გამოსვლა, არამედ საკითხის ღრმა პასუხისმგებლობით შესწავლა, საკოლმეურნეო კრებების მოხერხებულად მოწვევა, წესდების თვითეული პუნქტის წაკითხვა-განმარტება აი რა არის საჭირო იმისათვის, რომ თვითეული კოლმეურნე და ერთპიროვნული მეურნე ნათლად გაერკვეს ახალ წესდების შინაარსში და გაადვილდეს მთელი საკოლმეურნეო ცხოვრების ბოლშევიკურად მოწყობა ამ წესდების საფუძველზე.

ბრძანება
№ 38
ს.ს.რ. კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრისა

4 წელიწადია, რაც წითელდროშოვან ლენინურ კომკავშირს აღებული აქვს შეფობა მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო საჰაერო ძალებზე და პატიოსნად ასრულებს ნაკისრებ ვალდებულებებს.

მტკიცე, ახალგაზრდული, ბოლშევიკური ენერგიით მოჰკიდა ხელი კომკავშირმა წითელი საჰაერო ფლოტისათვის დახმარების გაწევის საქმეს და მას არ დაუთმია, არ შეუსუსტებია თავისი მუშაობის შინაარსის ტემპები და სიღრმე. ათასობით თავისი საუკეთესო წევრები მისცა კომკავშირმა ჩვენს საფრენოსნო და ტექნიკურ სკოლებს და ასი ათასობით კომკავშირელები ყოველდღიურად ენტუზიაზმით ახმარენ თავის დროს და ენერგიას ჩვენი სამშობლოს საჰაერო ძალების განმტკიცების და განვითარების საქმეს.

მფრინავი კომკავშირელი, რომელიც სრულიად, დაეუფლა თავის რთულ საქმეს, მტკიცე კომუნისტი — წითელარმიელთა აღმზრდელი, რეკორდსმენი — ფიზკულტურელი — აი ჩვენი წითელი საჰაერო ფლოტის ნამდვილი [illegible]. 4 წლისთავის აღსანიშნავად ვბრძანებ:

1. დაჯილდოებულ იქნან თვითმფრინავით „უ-2" კომკავშირის დონეცკის საოლქო კომიტეტი და აერომარხილებით — კომკავშირის შორეულ აღმოსავლეთის სამხარეო კომიტეტი, რომლებმაც მოგვცეს მასობრივი საშეფო მუშაობის და საჰაერო ნაწილებთან კონკრეტული კავშირის და მათთვის დახმარების გაწევის საუკეთესო ნიმუშები; საპლანერო სადგურით — კომკავშირის ბეჟეცკის რაიონული კომიტეტი, რომელმაც შეფობის ხაზით პირველი ადგილი დაიჭირა საქალაქო ორგანიზაციებს შორის; საავიაციო კუთხით — ორჯონიკიძის სახელობის [illegible] ქარხნის ძირეული კომკავშირული ორგანიზაცია — საშეფო მუშაობის მოწყობის მხრივ მოწინავე ორგანიზაცია.

2. დაჯილდოებულ იქნან ძვირფასი სახელობითი საჩუქრებით საკ.ა.ლ.კ.კ. შემდეგი ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებიც დაეუფლენ საფრენოსნო საქმეს მუშაობისაგან მოუწყვეტლად და რომლებმაც ისწავლეს თვითმფრინავის დამოუკიდებლად მართვა:

1. პ. გორშენინი — საკ.ა.ლ.კ.კ. ც.კ-ის მდივანი 2. ი. პრახოვი — საკავშირო ალკკ ც.კ-ის ინსტრუქტორი, 3. ვ. მუხკინი — უკრაინის ა.ლ.კ.კ. დონეცკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, 4. დ. გეირო — უკრაინის ა.ლ.კ.კ. დონეცკის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი, 5. ვ. შუნკო — საკ.ა.ლ.კ.კ.ც.კ-ის, ომსკის ოლქის ორგბიუროს მდივანი, 6. პ. ლისტოვსკი — საკ.ა.ლ.კ.კ. შორეული აღმოსავლეთის [illegible] კომიტეტის მდივანი, 7 ი. ხარჩენკო—საკ.ა.ლ.კ.კ.ც.კ-ის ბიუროს წევრი.

ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ ამ ამხანაგების შესანიშნავ მაგალითს ათასობით მიბაძავენ ჩვენი მამაცი კომკავშირელები.

დიდ მადლობას ვუცხადებ რა საკ. ალკკ-ს მუშურ-გლეხური წითელი არმიის სახელით მისი დიდი და ჩვენი სახელმწიფოსთვის უაღრესად საჭირო მუშაობისათვის, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ლენინური კომკავშირი შემდეგშიაც მოგვცემს დიდი და ნაყოფიერი საშეფო მუშაობის ნამდვილ ნიმუშს.

ს.ს.რ. კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარი:—

კ. ვოროშილოვი.

5 მარტი, 1935 წ.
ქ. მოსკოვი.

ა.-კ. ცაკის VII მოწვევის მეორე სესია

გუშინ, საღამოს, საქართველოს მთავრობის სასახლის წითელ დარბაზში შესდგა ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესია, რომლის დღის წესრიგში დასმული იყო ორი საკითხი: ამიერ-კავკასიის 1935 წლის სახალხო სამეურნეო გეგმა და ბიუჯეტი. და საორგანიზაციო საკითხები.

სესია მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ამხ. ფ. მახარაძემ, რომელმაც თქვა:

— ა.-კ. ცაკის პირველი სესიიდან მცირე დრო გავიდა, მიუხედავად ამისა ამ სესიის მოწვევას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ამ დროის განმავლობაში ჩვენ გვქონდა ისეთი ფაქტები, როგორიც არის საბჭოების VII სრულიად საკავშირო ყრილობა და დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობა, რომელთაც დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ. მთელი პარტია და ქვეყანა ამჟამად ჩაბმულია ამ ყრილობათა გადაწყვეტილებების გატარებისათვის ბრძოლაში.

ამ ორი თვის წინად ჩვენ შეუდექით მეორე ხუთწლედის მესამე წლის გეგმების შესრულებას, ამ წლის წარმატებით დამთავრება თვითონ ჩვენზე ა დამოკიდებული.

გეგმის შესრულებისათვის ყველა პირობა გვაქვს. საჭიროა მხოლოდ ბოლშევიკური მუშაობა.

ამხ. მახარაძის შესავალი სიტყვის შემდეგ დღის წესრიგის პირველ საკითხზე სესიამ მოისმინა ა.-კ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის და ა.-კ. საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ილიუშინის ვრცელი მოხსენება.

მოხსენების შემდეგ გაიხსნა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ბუნიატ-ზადემ. ნოვიკოვმა, კვანტალიანმა, ბუდუ მდივანმა, ერემიანმა, ალავერდიევმა, ჯიქიამ, ლატიონოვმა, ხითარიშვილმა და ეფენდიევმა.

კამათის დასრულების შემდეგ სესიამ დაამტკიცა მოხსენების ირგვლივ წარმოდგენილი ღონისძიებები.

შემდეგ სესიამ განიხილა დღის წესრიგის მეორე საკითხი.

სესიამ დააკმაყოფილა საქართველოს ცაკის თავმჯდომარის ამხ. ფ. მახარაძის თხოვნა ა.-კ. ცაკის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

სესიამ ა.-კ. ცაკის თავმჯდომარედ აირჩია ამხ. აბელ ენუქიძე.

სესიამ ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმში დამატებით აირჩია ამხ. ა. ენუქიძე და ილიუშინი.

სესიამ დაამტკიცა ა.-კ. ცაკის საბიუჯეტო კომისია: ამხ. ილიუშინის (თავმჯდომარე), უსეინ რახმანოვის, გულოიანის, მგალობლიშვილის, ერემიანის, ნ. ლაკობას, ზ. ლორთქიფანიძის, ი. ჯიჯოევის, ნოვრუზოვის, ბადამიანის, რადიონოვის. ს. ჯუღელის და მატიანიანის შემადგენლობით. ამის შემდეგ სესია დაიხურა.

ამიერ-კავკასიის VII მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის დადგენილება

ამხ. ფილიპე ევსეევის-ძე მახარაძის ა-კ-ს ცაკის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

ამიერ - კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: განთავისუფლებულ იქნას ამხ. ფილიპე ევსევისძე მახარაძე, თანახმად მისი თხოვნისა, ამიერ - კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

ამიერ - კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ს. მარტიკიანი.

ამიერ - კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი — ს. თოდრია.

5 მარტი, 1935 წ. ქ. ტფილისი.

ამხ. ა. ს. ენუქიძის ა.-კავკასიის ცაკის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ

ამიერ - კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: არჩეულ იქნას ამიერ - კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ ამხ. აბელ სოფრომისძე ენუქიძე.

ამიერ - კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ს. მარტიკიანი.

ამიერ - კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი — ს. თოდრია.

5 მარტი 1935 წ. ქ. ტფილისი.

ამხ. ა. ს. ენუქიძის და ნ. ს. ილიუშინის ა-კ-ის ცაკის პრეზიდიუმის შემადგენლობაში შეყვანის შესახებ

ამიერ - კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

შეყვანილ იქნან ამიერ - კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში ამხ: აბელ სოფრომის-ძე ენუქიძე და ა.-კ.ს.ფ.ს. რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ნიკოლოზ სიმონის-ძე ილიუშინი.

ამიერ - კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ს. მარტიკიანი.

ამიერ - კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

5 მარტი. 1935 წ.

ამიერ-კავკასიის ცაკის საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

ა.-კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცდეს ა. - კ. ცაკის საბიუჯეტო კომისიის შემდეგი შემადგენლობა:

თავმჯდომარე — ნ. ს. ილიუშინი. წევრები: ჰუსეინ რახმანოვი, ა. ა. გულოიანი, გ. ა. მგალობლიშვილი, ვ ა. ერემიანი, ნ. ა. ლაკობა. ზ. ლორთქიფანიძე, ი. ჯიჯოევი, რ. ნოვრუზოვი, ს. ბადამიანი, ე. ი. როდიონოვი, ს. პ. ჯუღელი, კ. მატინიანი.

ამიერ - კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ს. მარტიკიანი.

ამიერ - კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი — ს. თოდრია.

5 მარტი, 1935 წ.

ამხ. ა. ს. ენუქიძის ბიოგრაფია

აბელ სოფრომის-ძე ენუქიძე დაიბადა 1877 წ. 19 მაისს, სოფ. ცხადისში (ყოფ. ქუთაისის გუბერნიის რაჭის მაზრა) გლეხის ოჯახში, 12 წლამდე იზრდებოდა სოფელში, სწავლობდა სოფლის სკოლაში, 1889-დან 1892 წლამდე სწავლობდა სამეგრელოს სამაზრო სასწავლებელში; 1893 წელს გადავიდა ტფილისში, სადაც მიიღო ტექნიკური განათლება. 1896 წლის გაზაფხულიდან ამხ. ენუქიძე შევიდა მუშებისა და მოსწავლეებისაგან შემდგარ შერეულ წრეში და ამ დროიდან იწყება მისი მარქსისტული აღზრდა 1897 წლის ზაფხულში ამხ. ენუქიძე სამუშაოდ შევიდა ამიერ - კავკასიის რკინისგზების მთავარ სახელოსნოში. იქ მან პირველად დაიწყო მუშაობა მუშათა წრეებში, როგორც პროპაგანდისტმა და ორგანიზატორმა. 1898 წლის სექტემბერში ამხ. ენუქიძე გადაყვანილ იქნა ბაქოს დეპოში ორთქლმავლის მემანქანის თანაშემწედ. აქ 1899—1901 წლებში ამხ. ენუქიძე მუშაობს კეცხოველის მიერ მოწყობილ სტამბაში, აგრეთვე რ. ს. დ. მ. პ. ბაქოს კომიტეტში.

1902 წლის აპრილში ამხ. ენუქიძე დააპატიმრეს საპირველმაისო დემონსტრაციისათვის მზადებასთან დაკავშირებით, მაგრამ მალე განთავისუფლეს და განაგრძობდა მუშაობას ორგანიზაციაში 2 სექტემბრამდე, როცა კვლავ იქნა დაპატიმრებული (კეცხოველთან ერთად) და გადაყვანილი ტფილისის მეტეხის საპატიმროში, სადაც დაჰყო 1903 წლის ზაფხულამდე. 1903 წლის შემოდგომაზე ამხ. ენუქიძე კვლავ დააპატიმრეს და გადაასახლეს აღმოსავლეთ ციმბირში, მაგრამ გზაში გაიქცა. 1903 წლის ნოემბრიდან ცენტრალური კომიტეტის დავალებით, მუშაობდა ბაქოს არალეგალურ სტამბაში, სანამ ამ სტამბას პეტერბურგში გადაიტანდენ (1906 წლის თებერვალში). 1906 წელს ამხ. ენუქიძე აწარმოებდა პარტიულ მუშაობას პეტერბურგში. სახელმწიფო სათათბიროს გარეკვის შემდეგ, იგი „ბოლშევიკური ცენტრის" მიერ გაგზავნილ იქნა კავკასიაში საპასუხისმგებლო პარტიულ სამუშაოზე კავკასიის ყრილობის შემდეგ 1906 წლის შემოდგომაზე ამხ. ენუქიძე მუშაობდა ბაქოს ორგანიზაციაში, იყო ბაქოს ბოლშევიკური კომიტეტის და რ. ს. დ. მ. პ. კავკასიის საკავშირო კომიტეტის წევრი, ეს მუშაობა დროებით შეწყვეტილ იქნა. მისი დაპატიმრებით (1907 წლის 5 მაისს) ბაქოს ბოლშევიკების კონფერენციაზე. შემოდგომაზე ამხ. ენუქიძე გადაასახლეს [illegible], მაგრამ გზაში გაიქცა [illegible] კვლავ დაბრუნდა ბაქოში, სადაც დარჩა პარტიულ სამუშაოზე 1907 წლის 9 ნოემბრამდე, როცა იგი კვლავ დააპატიმრეს (პეტერბურგში — გზაში, როცა იგი მიემგზავრებოდა, პარტიის სრულიად რუსეთის კონფერენციაზე) და მოათავსეს „კრესტში". 1908 წლის მაისში იგი გადასახლებულ არხანგელსკის გუბერნიაში, საიდანაც უკვე სექტემბერში გაიქცა პეტერბურგში. სადაც რამდენიმე თვე დაჰყო არალეგალურ მუშაობაში, აგრეთვე ფინეთში, მაგრამ შემდეგ იძულებული გახდა დაბრუნებულიყო [illegible] გადასახლებაში, რომლის ვადა გავიდა 1910 წლის ივლისში. ამ წლის შემოდგომიდან ამხ. ენუქიძე მუშაობს ბაქოს ორგანიზაციაში და შედიოდა ბაქოს კომიტეტის შემადგენლობაში. ბოლშევიკების სრულიად რუსეთის (პრაღის) კონფერენციისათვის გაცხოველებული მოსამზადებელი მუშაობის დროს ამხ. ენუქიძე დააპატიმრეს 1911 წლის სექტემბერში [illegible] როვთან და სხვ. ერთად). საპატიმროში მან დაჰყო 1912 წლის ივლისამდე, ხოლო შემდეგ გადასახლებულ იქნა კავკასიის ფარგლებიდან. ჯერ იგი მუშაობდა დონის როსტოვში, შემდეგ (1912 წლის დეკემბერში) გაემგზავრა მოსკოვში, მაგრამ იქიდან იგი გადაასახლეს „24 საათის განმავლობაში" და გაემგზავრა პეტერბურგში. 1914 წლის ივლისში იგი დააპატიმრეს. ხოლო ოქტომბერში გადაასახლეს ტურუხანის მხარეში. 1916 წლის დამლევს ამხ. ენუქიძე გადასახლებიდან გაიწვიეს ჯარში და მსახურობდა უბრალო ჯარისკაცად კრასნოიარსკში, (ციმბირის მე-14 მსროლელთა პოლკის მე-13 ასეულში 1917 წლის თებერვალში ამხ. ენუქიძე გაგზავნეს ფრონტზე მომქმედ არმიაში პეტროგრადზე გავლით. სადაც ჩაუსწრო 27 თებერვალს, ე. ი. რევოლუციის პირველ დღეს და მონაწილეობას ღებულობდა ჯარების ქუჩის გამოსვლებში. აპრილამდე ამხ. ენუქიძე უმთავრესად მუშაობდა პეტროგრადის გარნიზონის ნაწილებში.

ოქტომბრის წინა დღეებში ამხ ენუქიძე იყო „15-ის კომისიის" (პეტროგრადის საბჭოს მუშათა სექციის ბიურო) წევრი. საბჭოების მეორე ყრილობაზე იგი არჩეულ იქნა სრულიად რუსეთის ცაკის წევრად. სადაც მუშაობდა სამხედრო განყოფილების გამგედ.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ბოლშევიკების პარტიამ ამხ ენუქიძე წამოაყენა საბჭოთა სახელმწიფოს ერთერთ ხელმძღვანელ საპასუხისმგებლო პოსტზე: 1918 წლის შემოდგომაზე ამხ. ენუქიძე არჩეულ იქნა სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმის წევრად და მდივნად. ს. ს. რ. კავშირის შექმნის შემდეგ 1922 წლის 30 დეკემბერს არჩეულ იქნა ს. ს. რ. კავშირის ცაკის პრეზიდიუმის წევრად და მდივნად, რომელ თანამდებობაზედაც იგი უცვლელად იყო უკანასკნელ დრომდე: აგრეთვე შედიოდა სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმის შემადგენლობაში. ამ წლების განმავლობაში ამხ. ენუქიძე ხელმძღვანელ მონაწილეობას ღებულობდა საბჭოთა სახელმწიფოს ორგანოს მშენებლობის და განმტკიცების სამუშაოებში 1932 წელს დაინიშნა ს ს. რ. კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ მეცნიერთა დამხმარე კომისიის თავმჯდომარედ. პარტიის მე-12 ყრილობის შემდეგ ამხ. ენუქიძე არჩეული იყო აგრეთვე საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის და მისი პრეზიდიუმის წევრად.

ამხ. ენუქიძე არის საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, ს. ს. რ. კავშირის ცაკის და მისი პრეზიდიუმის წევრი. (ტასს).

დაიხურა ბამბის ქსოვილების გამოფენა

მოსკოვი, 4 მარტი. 4 მარტს დაიხურა ბამბის ქსოვილების გამოფენა. გამოფენა დაათვალიერა 19.000 კაცმა.

წიგნებში უამრავი ჩანაწერების გარდა, დამთვალიერებლებმა რამდენიმე ათეული ათასი შეფასება მისცეს გამოფენის საანკეტო ფურცლებში. ამ მასალიდან გამოყენებული იქნება პრაქტიკული დასკვნები საფეიქრო მრეწველობის შემდგომი მუშაობისათვის.

სულ გამოფენაში მონაწილეობას ღებულობდა 30 ფაბრიკა. წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ნახატის და სახის 5 ათასი ქსოვილი. (ადს)

◆

ამხ. გალიშევი ტიკსის ყურეში გადაფრენის შესახებ

იაკუტსკი, 4 მარტი. გუშინ ტიკსიდან გაფრინდენ მფრინავები გალიშევი და დორონინი. გაფრენის წინ ამხ. გალიშევმა განაცხადა, რომ სავსებით მზად არის გადაფრენის უაღრესად პასუხსაგები ეტაპისათვის და რომ მოტორები კარგ მდგომარეობაშია. 1600 კილომეტრი იაკუტსკიდან ტიკსის ყურემდე — გადაფრენის ყველაზე უფრო ძლიერი უბანია. ყინვები (რომლებიც აქ 60 გრადუსამდე აღწევენ), სქელი ნისლი, არაზშირი მოსახლეობა, მდინარე ლენას ბასეინის ზუსტი ტოპოგრაფიული რუკის უქონლობა — ყოველივე ეს აძნელებს გადაფრენას. (ადს).

◆

ამხ. მოლოკოვი გაფრინდა კრასნოიარსკიდან

კრასნოიარსკი, 4 მარტი. (ელვა), დღეს, 6 საათსა და 40 წუთზე, (მოსკოვის დროით) კრასნოიარსკის ჰაეროდრომიდან გაფრინდა საბჭოთა კავშირის გმირი მოლოკოვი, რომელიც მიფრინავს მოსკოვდიქსონის კუნძულის მარშრუტით. ამხ. მოლოკოვს განზრახვა აქვს შეუჩერებლად იფრინოს [illegible]

ბოლშევიკური ზრუნვა მშრომელთა ჯანმრთელობაზე

„პრავდის" მოწინავე 5/III

კაპიტალიზმი ანადგურებს კაცობრიობას. საკატორღო შრომით და უმუშევრობით, შიმშილით და ძალღონის გამოფიტვით, პროსტიტუციით და ალკოჰოლიზმით, სიფილისით და ჭლექით იგი იწვევს უდროვო სიკვდილს, ცოცხალთა ლპობას, მშრომელთა მილიონების გადაშენებას. ერთი მუჭა პარაზიტთა და ბოროტმოქმედთა მოგების გულისათვის იგი ძარცვავს მათ ჯამრთელობას და ახალგაზრდობას.

საბჭოთა ქვეყანამ მიიღო მილიონთა ჯამრთელობის სისტემატიური რღვევის ძირითადი წყარო. ოქტომბრამდე ჩვენს ქვეყანას ჰქონდა იმის სამწუხარო პრივილეგია, რომ მას სიკვდილიანობის, ეპიდემიების, სიბნელის და ჭუჭყის მხრივ პირველი ადგილი ეჭირა დედამიწის ზურგზე. ყველა ახალდაბადებულ ბავშვთა მესამედი იხოცებოდა ისე, რომ ვერ აღწევდა ერთი წლის ასაკსაც კი. ბავშვის პატარა კუბო იყო მეფის რუსეთის ყოფაცხოვრების დამახასიათებელი თვისება. ეპიდემიებს თან სდევდა საავადმყოფოების დარბევა და ძალადობა ექიმების მიმართ. მივარდნილ ადგილებში ჩამორჩენილი გლეხური მოსახლეობა არ იცნობდა ექიმებს და ეშინოდა მათი.

სოციალისტურ მშენებლობას თან მოაქვს ქვეყნის გაჯანსაღება. მაგრამ ამ დარგშიაც, ისე როგორც სხვა დარგებში, უაზრობა და დანაშაული იქნებოდა დაგვეცადა იმისათვის, რომ ყველაფერი ეს „თავისთავად" გაკეთდება. სოციალიზმს თან მოაქვს ჯამრთელობა, მაგრამ იმისათვის, რომ უმოკლეს ვადაში და რაც შეიძლება მეტი წარმატებით დავამთავროთ სოციალისტური მშენებლობა, საჭიროა მშენებლები იყვნენ ჯანსაღნი. სრულფასოვნობით აღსავსე ადამიანები.

ჩვენი პარტიისა და ქვეყნის ბელადის ფხიზელმა თვალმა ჩვენი ზრდის საერთო სურათში შეამჩნია ჯამრთელობის ჩამორჩენა. ყველას ახსოვს ამხანაგ სტალინის სიტყვები მე-17 ყრილობაზე იმ „მივიწყების" შესახებ რომელშიაც აღმოჩნდა სამედიცინო განათლება. მოკლე და მეტყველი იყო მისი მითითებანი: „ეს დიდი ნაკლია, რაც სახელმწიფოს ინტერესების დარღვევას უდრის. ამ ნაკლს აუცილებლად უნდა მოუღოთ ბოლო და რაც უფრო მალე გაკეთდება ეს, მით უკეთესია".

ბელადის სიტყვა—პარტიის საქმეა. ამხ. სტალინის გამოსვლა წარმოადგენდა იმ უზარმაზარი სამუშაოების გამოსავალ პირტილს, რომლებსაც აქვთ უდიდესი. ჭეშმარიტად მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა. სამედიცინო განათლება (ისე როგორც პედაგოგიური განათლება) იყო პირველი და უმნიშვნელოვანესი რგოლი ღრმა კულტურულ გარდაქმნათა ჯაჭვში.

ახალი ადამიანის — კულტურული და ჯანსაღი ადამიანის — შექმნა დასახულია საბჭოთა ქვეყნის წინაშე, როგორც უდიდესი მნიშვნელობის ამოცანა, როგორც სოციალიზმის მშენებლობისათვის, ისე მისი თავდაცვისათვისაც.

სამედიცინო განათლების საკითხებზე 1934 წლის მაისში მოწვეულ საკავშირო თათბირს მოჰყვა ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 4 სექტემბრის დადგენილება სამედიცინო კადრების შესახებ, ამხ. სტალინის ინიციატივით წარმოშობილმა საზოგადოებრივმა მოძრაობამ ფართო გაქანება მიიღო.

საბჭოების არჩევნების დროს, საბჭოების ყრილობებზე — ადგილობრივ და რესპუბლიკურ ყრილობებზე —ჯანმრთელობის საკითხებმა პირველად დაიკავეს ასეთი თვალსაჩინო ადგილი. ეს არ ყოფილა მედიცინის იზოლირებული საკითხები ახალი საკოლმეურნეო სოფლის ვიწრო აზრით. და ექიმების საკითხთან ერთად, მათი მატერიალურ - უფლებრივი, კულტურული მდგომარეობის საკითხებთან ერთად წამოიჭრა ჩვენი ქვეყნის გადაჭრით გაჯანსაღების და მისი კულტურული აყვავების ყველა საკითხები.

ხოლო ახლა ეს მოძრაობა კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე დგება და თავის გაფორმებას პოულობს სახალხო კომისართა საბჭოს და საკ.კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში სამედიცინო მუშაკთა ხელფასის მომატების და 1935 წელს ჯანმრთელობისათვის ასიგნობათა გადიდების შესახებ, წინათ მოცემული მითითებებისათვის, გაჯანსაღების დასახული პროგრამისათვის იქმნება მატერიალური ბაზა.

ექიმი წამოყენებულია, როგორც საბჭოთა ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის ცენტრალური ფიგურა. ლიკვიდირებულია ის მდგომარეობა, რომლის დროსაც მას — ადამიანის მექანიკის ინჟინერს — ზოგიერთები უყურებდენ როგორც საამშენებლო და სხვა მასალების მექანიკის ინჟინერზე რამდენადმე დაბლა მდგომს, მოსპობილია გაუპიროვნება სხვადასხვა სტაჟის სხვადასხვა სახის შრომის და სხვადასხვა პასუხისმგებლობის ექიმების მიმართ. და შექმნილია პირველი პირობები იმისათვის, რომ ექიმს შეეძლოს ძთლიანად ჩაეფლოს თავის მუშაობაში ისე, რომ ტყვილუბრალოდ არ დახარჯოს თავისი დრო და შრომა. შექმნილია პირველი პირობები იმისათვის, რომ ექიმი დაინტერესებული იყოს თავისი კვალიფიკაციის შეუძლიერი ამაღლებით.

და ჯანმრთელობის არმიის კომანდირებთან ერთად კულტურულ მუშაკთა პირველ რიგებში წამოყენებული არიან ექიმის თანაშემწეები, მათი უახლოესი დასაყრდენი—საშუალო და დაბალი პერსონალი. იქმნება ისეთი პირობები, რომლის დროსაც საავადმყოფოები არ იქნებიან მოწყალების დების და სანიტარების გასავლელი ეზოები და ავადმყოფებისათვის უზრუნველყოფილი იქნება ყურადღებითი და უნარიანი მოვლა.

მთელი სამკურნალო საქმე უდიდეს ნაბიჯს დგამს წინ ავადმყოფების კვების საგრძნობი გაუმჯობესებით. ავადმყოფის სადღე-ღამისო ნორმა დიდდება ქალაქებში 1 მან. და 75 კაპეიკიდან 2 მ. 80 კაპ.-მდე, სოფლებში — 1 მ. 30 კაპ-დან 2 მანეთამდე, (გარდა ამ ნორმების გადიდებისა გამომცხვარი პური, ფქვილის და ბურღულის საბარათო სისტემის გაუქმებასთან დაკავშირებით).

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამკურნალო და სანიტარული საქმის განვითარებას. საავადმყოფოების მომარაგებას მოწყობილობით და მედიკამენტებით. ეს ღონისძიებანი სახელმწიფოსაგან მოითხოვენ ახალ უდიდეს ხარჯებს. და საბჭოთა ქვეყანა ამაყობს იმით, რომ იგი ერთადერთი ქვეყანაა დედამიწის ზურგზე, რომელსაც შეუძლია ამის გაკეთება 1934 წელს ჯანმრთელობაზე დაიხარჯა 2.592 მილიონი მანეთი. 1935 წელს დაიხარჯება 4. მილიარდ მანეთზე მეტი.

სოციალისტურ ქვეყანას ესაჭიროება ჯანსაღი და სიცოცხლით სავსე ადამიანები, — ესაჭიროება მშენებლობისა და თავდაცვისათვის, მუშების და კოლმეურნეების ქვეყანაში არ არის ზედმეტი ადამიანები, რომელთა მკურნალობაც არ იყოს საჭირო და რომელთა დატოვებაც შეიძლებოდეს ბედის ანაბარად, ავადმყოფობისა და სიკვდილის, სამსხვერპლოდ, ადამიანი ძვირფასია საბჭოების ქვეყნისათვის, ამით განსხვავდება იგი კაპიტალისტური ქვეყნებისაგან, სადაც კაპიტალისტური კრიზისის საშინელი წნეხის ქვეშ სულს ღაფავენ. საჩინრდებიან და იღუპებიან ზედმეტი ადამიანები.

ისინი არ ესაჭიროება კაპიტალიზმს, საუკეთესო ადამიანთა მილიონები ზედმეტ ბარგად გადაიქცა და ყველგან ბურჟუაზია, კვეცავს რა სახელმწიფო და საქალაქო გასავლის ხარჯთაღრიცხვებს, უპირველეს ყოვლისა, ამცირებს საავადმყოფოების ბიუჯეტებს, და უმუშევარ პროლეტართა არმიას ავსებს უმუშევარი ექიმების რაზმებით.

ადამიანს არა აქვს ფასი კაპიტალიზმისათვის, და ინდოეთში, ინგლისის იმპერიალიზმის უმდიდრეს კოლონიაში ათი ათასობით იხოცებიან გლეხები მალარიისაგან ისე, რომ ვერ ღებულობენ საექიმო დახმარებას. ისინი „არ არიან" ამ დახმარების „ღირსი" ისე, როგორც „არ არიან" მზრუნველობის „ღირსი" უმუშევართა მილიონები, რომლებიც შიმშილისაგან თავისი სიკვდილით დახმარებას უწევენ მათ „შეანელონ" უმუშევრობის გადაუჭრელი პრობლემა.

მშრომელთა სიკვდილიანობა ხახფათოდ იზრდება მთელს კაპიტალისტურ მსოფლიოში ბურჟუაზიის გადაშენებასთან ერთად, რომელსაც იგი ამართლებს ეუგენიკის „რასის სიწმინდის თეორიით".

სოციალიზმი ალორძინებს დამპალ კაპიტალისტური სისხლით სავსეობით მოწამლულ კაცობრიობას, სოციალიზმი ქმნის ჯანსაღ კულტურას და ჯანმრთელობის კულტურას. დღეს გამოქვეყნებულ დადგენილებაში საბჭოთა კავშირის მშრომელები წაიკითხავენ ახალ მოწოდებას გაძლიერებული და დამკვრელური მუშაობისაკენ, ექიმების და მათი თანაშემწეების ახალი გასაკეთებების იქით, კვების ახალი ნორმების იქით ისინი დაინახავენ ჩვენი პარტიის და ჩვენი მთავრობის იმავე ზრუნვას იმაზე, რომ ჩვენი ქვეყანა გახდეს ყველაზე მტკიცე, ყველაზე ძლიერი, ყველაზე კულტურული, ყველაზე მდიდარი ქვეყანა დედამიწის ზურგზე, რომელსაც ვერ დასძლევს მტრის ვერავითარი ძალა.

და მშრომელთა ჯანმრთელობისათვის, სოციალისტურ ქვეყანაში ამ უდიდესი ვაჟკაცობისათვის მებრძოლთა მრავალრიცხოვანი არმია მიხვდება, რომ პარტიის და მთავრობის ყურადღება და მზრუნველობა, ამხანაგ სტალინის ყურადღება და მზრუნველობა მოითხოვს მათგან თავგანწირვასა და ენტუზიაზმს მათ მუშაობაში.

ამხ. ვოროშილოვის პასუხი მისალმებებზე

მუშურ-გლეხური წითელი არმიის 17 წლისთავთან და პირველი ცხენოსანი არმიის 15 წლისთავთან დაკავშირებით, ჩემს სახელზე მოვიდა და ახლაც მოდის დიდძალი მისალმებანი და მილოცვანი წითელი არმიისა და პირველი ცხენოსანი არმიისადმი.

არა მაქვს რა საშუალება ცალცალკე ვუპასუხო ყველა ორგანიზაციას, ქარხნებს, კოლმეურნეობებს, დაწესებულებებს, სკოლებს, პიონერრაზმებს, ჯარის ნაწილებს და ცალკეულ პირებს მათ მისალმებებისა და კეთილ სურვილებზე, გახლავთ მიიღოთ მუშურ-გლეხური წითელი არმიის მთელი შემადგენლობის სახელით უდიდესი მადლობა მისალმებებისა და კეთილი სურვილებისათვის.

წითელი არმია კიდევ უფრო მეტი შეუპოვრობით და ენერგიით იმუშავებს თავისი საბრძოლო რიგების განმტკიცებისა და სამხედრო ტექნიკის დაუფლებისათვის, რათა ღირსეულად ემსახუროს თავის დიდ სამშობლოს მისი საზღვრების დაცვის საქმეში.

კ. ვოროშილოვი.

სამედიცინო მუშაკებისათვის შრომის ხელფასის მომატებისა და 1935 წელს ჯანმრთელობის დაცვის საქმეზე ასიგნობების გადიდების შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება

ჯანმრთელობის დაცვის საქმის შემდგომი გაუმჯობესების, ექიმების და სხვა სამედიცინო მუშაკების მატერიალური უზრუნველყოფის გადიდების და მათ შორის უფრო კვალიფიციურთა მეტი წახალისების მიზნით, ს.ს.რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. გაუდიდდეს 1935 წლის 1 მარტიდან შრომის ხელფასი სამედიცინო მუშაკებს, ამასთან დაწესდეს შემდეგი სათანამდებობო ჯამაგირები (განაკვეთები), სამედიცინო მუშაკებისათვის (გამომცხვარ პურისა, ფქვილსა და ბურღულზე საბარათო სისტემის გაუქმებასთან დაკავშირებით დაწესებულ მომატების ზევით) თვეში:

მედიცინის მუშაკთა კატეგორიები	სამკურნალო - პროფილაქტიურ დაწესებულებებში საწოლების რაოდენობით.			
ექიმები.	100-მდე	101-დან 250-მდე	251-დან 500-მდე	500-ზე ზევით.
1. საავადმყოფოს (სამშობიარო სახლის) მთავარი ექიმი — ქალაქში ან მუშებით დასახლებულ ადგილებში	400 მ.	500 მ.	550—600	750 მ.
	სტაჟით:			
	5 წლამდე	5 წელს ზევით 10 წლამდე	10 წელს ზევით, ან მეცნიერული ხარისხის მქონე.	
2. ექიმი — სოფლის საავადმყოფოს გამგე	360 მ.	410 მ.	510 მ.	
	ავადმყოფების გატარება წელიწადში:			
	50 ათასამდე	50 ათას ზევით 100 ათასამდე	100 ათას ზევით 200 ათასამდე	200 ათას ზევით
3. ექიმი, რომელიც განაგებს ამბულატორიას, პოლიკლინიკას ან ამბულატორიული ტიპის დაწესებულებას — ქალაქში ან მუშებით დასახლებულ ადგილებში	350 მ.	400 მ.	450 მ.	500-600 მ.
	სტაჟით:			
	5 წლამდე	5 წელს ზევით 10 წლამდე	10 წელს ზევით, ან მეცნიერული ხარისხის მქონე.	
4. ექიმი სასოფლო ამბულატორიის გამგე	300 მ.	350—375 მ.	425—450 მ.	
5. ექიმი — საავადმყოფოს ან პოლიკლინიკის განყოფილების გამგე, ლაბორატორიის გამგე — ქალაქში ან მუშებით დასახლებულ ადგილებში	375 მ.	450 მ.	550 მ.	
6. საავადმყოფოს, ამბულატორიის და სხვა სამკურნალო პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ექიმი				
ა) ქალაქში ან მუშებით დასახლებულ ადგილებში	300 მ.	350 მ.	400 მ.	
ბ) სოფლებში	275 მ.	315 მ.	360 მ.	
	სამკურნალო - პროფილაქტიკურ დაწესებულებებში საწოლების რიცხვით:			
	100-მდე	101-დან 250-მდე	251-დან 500-მდე	500-ზე ზევით
7. ფსიქიატრიულ საავადმყოფოს მთავარი ექიმი	450 მ.	500 მ.	600 მ.	750 მ.
8. სანატორიუმის მთავარი ექიმი	400 მ.	450 მ.	500-550 მ.	700 მ.
9. ლეპროზორიუმის მთავარი ექიმი	650 მ.	725 მ.	800 მ.	900 მ.
	სტაჟით:			
	5 წლამდე	5 წელს ზევით 10 წლამდე	10 წელს ზევით, ან მეცნიერული ხარისხის მქონე.	
10. ექიმი — სახელმწიფო სანიტარული ინსპექტორი, სახსანინსპექციის სამხარეო და საქალაქო რწმუნებული, რკინისგზების სანიტარული უბნის უფროსი	350 მ.	450 მ.	550 მ.	
11. ექიმი — რაიონული სახ. სანინსპექტორი, სანიტარული და სასკოლო ექიმი, ექიმი-ბაქტერიოლოგი	300 მ.	350 მ.	400 მ.	
12. კბილის ექიმი, რომელსაც დამთავრებული აქვს კბილის საექიმო სკოლა	225 მ.	250 მ.	300-350 მ.	
ფარმაცევტები უმაღლესი განათლებით:				
13. აფთიაქის გამგე	300 მ.	350 მ.	400 მ.	
14. რეცეპტორი და კონტროლიორი	225 მ.	250 მ.	300 მ.	
საშუალო სამედიცინო პერსონალი:	სტაჟით:			
	5 წლამდე	5 წელს ზევით 10 წლამდე.	10 წელს ზევით	
15. ფერშალი და ფერშალი ქალი —ბებია-ქალი დამთავრებული საშუალო განათლებით — დამოუკიდებელი სამედიცინო პუნქტის გამგენი	200 მ.	225 მ.	250-300 მ.	

16. ფერშალი და ფერშალი ქალი —ბებია-ქალი დამთავრებული საშუალო სამედიცინო განათლებით:			
ა) ქალაქში ან მუშებით დასახლებულ ადგილებში	180 მ.	200 მ.	225 მ.
ბ) სოფლებში	160 მ.	180 მ.	200 მ.
17. საოპერაციო განყოფილების უფროსი მოწყალების და—და კლინიკის უფროსი მოწყალების და დამთავრებული საშუალო სამედიცინო განათლებით	200 მ.	225 მ.	250-300 მ.
18. უფროსი მოწყალების და საავადმყოფოს განყოფილებაში, კბილის ექიმი, კბილის ტექნიკოსი — ყველა დამთავრებული საშუალო სამედიცინო განათლებით:			
ა) ქალაქში ან მუშებით დასახლებულ ადგილებში	180 მ.	200 მ.	225—250 მ.
ბ) სოფლებში	160 მ.	180 მ.	200 მ.
19. სამედიცინო მოწყალების და დამთავრებული საშუალო სამედიცინო განათლებით:			
ა) ქალაქში ან მუშებით დასახლებულ ადგილებში	150 მ.	170 მ.	200 მ.
ბ) სოფლებში	135 მ.	150 მ.	175 მ.
20. სამედიცინო მოწყალების და, ბებია ქალი, ყვავილის ამცრელი და დეზინფექტორი დაუმთავრებელი საშუალო განათლებით:			
ა) ქალაქში ან მუშებით დასახლებულ ადგილებში	100 მ.	115 მ.	140 მ.
ბ) სოფლებში	90 მ.	100 მ.	120 მ.
21. სანიტარული ფერშალი (სანიტარული ექიმის თანაშემწე (პუნქტის, რაზმის ან სანგამტარებლის გამგე, სადეზინფექციო ინსტრუქტორი, ლაბორანტი დამთავრებული საშუალო სამედიცინო განათლებით	180 მ.	200 მ.	225 მ.
ფარმაცევტები დამთავრებული საშუალო ფარმაცევტიული განათლებით.	სტაჟით:		
	5 წლამდე	5 წელს ზევით 10 წლამდე	10 წელს ზევით
22. აფთიაქის გამგე:			
ა) ქალაქში ან მუშებით დასახლებულ ადგილებში	225 მ.	250 მ.	275 მ.
ბ) სოფლებში	200 მ.	225 მ.	250 მ.
23. რეცეპტორი და კონტროლიორი:			
ა) ქალაქში ან მუშებით დასახლებულ ადგილებში	180 მ.	200 მ.	225 მ.
ბ) სოფლებში	160 მ.	180 მ.	200 მ.
24. აფთიაქის ასისტენტი:			
ა) ქალაქში ან მუშებით დასახლებულ ადგილებში	150 მ.	180 მ.	200 მ.
ბ) სოფლებში	135 მ.	150 მ.	180 მ.
უმცროსი სამედიცინო პერსონალი:	სტაჟით:		
	3 წლამდე	3 წელზე ზევით 10 წლამდე ან 3 წელს ზევით სპეც. კურსების დამთავრების პირობით	10 წლამდე ზევით ან 3 წელს ზევით სპეც. კურსების დამთავრების პირობით
25. საავადმყოფოების, სამშობიარო სახლების, სანატორიუმების სანიტარები და სანიტარი ქალები:			
ა) ქალაქში ან მუშებით დასახლებულ ადგილებში	80 მ.	90 მ.	110 მ.
ბ) სოფლებში	60 მ.	70 მ.	85 მ.
26. საამბულატორო პოლიკლინიკის და საამბულატორო ტიპის დაწესებულებათა სანიტარები და სანიტარი ქალები:			
ა) ქალაქში ან მუშებით დასახლებულ ადგილებში	70 მ.	80 მ.	90 მ.
ბ) სოფლებში	55 მ.	65 მ.	75 მ.
27. ტალახსამკურნალოების სანიტარები და სანიტარი ქალები	90 მ.	100 მ.	120 მ.

სარკინიგზო და საწყლო ტრანსპორტის სამედიცინო მუშაკთა განაკვეთები გათანაბრებულია ქალაქის მედიცინის მუშაკთა სათანადო ჯგუფების განაკვეთებთან.

კბილის ექიმები დამთავრებული უმაღლესი სპეციალური განათლებით შრომის განაკვეთების მხრივ გათანაბრებული არიან სამედიცინო ექიმებთან.

სამედიცინო მოწყალების დები დაუმთავრებელი საშუალო სამედიცინო განათლებით, რომელთაც აქვთ განუწყვეტელი მუშაობის 15 წელზე მეტი სტაჟი, შრომის ხელფასის განაკვეთების მხრივ გათანაბრებული არიან სამედიცინო მოწყალების დებთან დამთავრებული საშუალო სამედიცინო განათლებით და ათწლიანი სტაჟით.

ფსიქიატრიულ და გადამდებ სნეულებათა საავადმყოფოების და განყოფილებების და რენტგენის კაბინეტების ექიმებისთვის, საშუალო და უმცროსი მედპერსონალისთვის, აგრეთვე სამედიცინო მუშაკებისთვის, რომელნიც მუშაობენ შრატ-სავაქციო წარმოებაში, დაწესდეს შრომის ხელფასის სათანადო განაკვეთებზე მომატება 15 პროცენტის რაოდენობით, ხოლო იმათთვის, ვინც მუშაობს ფსიქიატრიული საავადმყოფოების შფოთიან განყოფილებებში და ლეპროზორიუმებში — 30 პროც. რაოდენობით. გარდა ამისა აღნიშნულ მუშაკებისათვის დაწესდეს მუშაობის შემცირებული სტაჟი, რომელიც მათ უფლებას აძლევს შრომის ხელფასის მომატებაზე: ფსიქიატრიულ და გადამდებ სნეულებათა საავადმყოფოების და განყოფილებების და რენტგენის კაბინეტების პერსონალისთვის 5 წლის ნაცვლად — სამი წელი და ათი წლის ნაცვლად — შვიდი წელი; ფსიქიატრიულ საავადმყოფოების შფოთიან განყოფილებების და ლეპროზორიუმების პერსონალისთვის — 5 წლის ნაცვლად—2 წელი და ათი წლის ნაცვლად 4 წელი.

II. I მუხლში აღნიშნული შრომის ხელფასის განაკვეთები გავრცელდეს ექიმებსა და მედიცინის სხვა მუშაკებზე მთელი ს. ს. რ. კავშირის ტერიტორიაზე, გარდა ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილებისა, რომელთათვის შემოღებულ იქნას სპეციალური მომატება ამ დადგენილებით დაწესებულ განაკვეთებზე, სახელდობრ:

ა) 20 პროცენტით გადიდებულ იქნას შრომის ხელფასის განაკვეთები შორეულ აღმოსავლეთის მხარისთვის, აღმოსავლეთ ციმბირის მხარის ზაბაიკალიეს რაიონებისა და ბურიათ-მონღოლეთის ა. ს. ს. რესპუბლიკის აიმაკებისათვის, რომლებიც ჩამოთვლილია სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წლის 5 თებერვლის დადგენილებაში (ს. ს. რ. კავშირის 1935 წ. კან. კრ. № 9, მუხ 64); იაკუტიის ა. ს. ს. რესპუბლიკისა, ყარა-ყალპაკის ა. ს. ს. რესპუბლიკისა და ყირგიზეთის ა. ს. ს რესპუბლიკისათვის; კარსაკპაისკის, დოსორსკის, ბალხაშსკის რაიონებისთვის და ყაზახეთის ა. ს. ს. რესპუბლიკის ქალაქ კარაგანდისთვის. თურქმენეთის ს. ს. რესპუბლიკისთვის და უზბეკეთის ს. ს. რესპუბლიკის ხორეზმის ოლქისთვის.

ბ) 10 პროცენტით გადიდებულ იქნას შრომის ხელფასის განაკვეთები უზბეკისტანის ს. ს. რესპუბლიკისთვის (ტაშკენტის გამოკლებით). ტაჯიკისტანის ს. ს. რესპუბლიკისა და კალმიკთა ავტონომიური ოლქისთვის.

შენიშვნა: ექიმებისა და სხვა სამედიცინო მუშაკებისთვის, რომელნიც მუშაობენ საბჭოთა კავშირის შორეულ ჩრდილოეთში, I მუხლში დაწესებული შრომის ხელფასის განაკვეთები გადიდებულია 50 პროცენტით.

III. შრომის ხელფასის აღნიშნული გადიდების გატარებისათვის მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებს და გზათა სახალხო კომისარიატის სანიტარულ სამმართველოს სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტიდან მიეცეს 370 მილიონი მანეთი (ამაში არ შედის შესატანი სოციალურ დაზღვევისათვის და ანარიცხები ადგილკომების შესანახად, აგრეთვე შრომის ხელფასის მომატება დაწესებული გამომცხვარ პურზე, ფქვილზე და ბურღულზე საბარათო სისტემის გაუქმებასთან დაკავშირებით), აქედან რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკას — 248 მილიონი მანეთი, უკრაინის ს. ს. რესპუბლიკას — 59,5 მილიონი მანეთი, ბელორუსიის ს. ს. რესპუბლიკას — 8,4 მილიონი მანეთი, ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკას — 14,8 მილიონი მანეთი, უზბეკისტანის ს. ს. რესპუბლიკას — 9 მილიონი მანეთი, თურქმენისტანის ს. ს. რესპუბლიკას — 3 მილიონი მანეთი, ტაჯიკისტანის ს. ს. რესპუბლიკას — 2,3 მილიონი მანეთი და გზათა სახალხო კომისარიატის სანიტარულ სამმართველოს — 25 მილიონი მანეთი.

IV. გაუქმდეს 1935 წლის პირველ მარტიდან მოქმედი კანონებით სამედიცინო მუშაკებისათვის გათვალისწინებული პერიოდული დამატებანი შრომის ხელფასზე მუშაობის ხანგრძლიობისათვის გარდა პერიოდული დამატებათა, რომლებიც დაწესებულია ს. ს. რ. ცაკის და სახკომსაბჭოს 1930 წლის 12 აგვისტოს დადგენილებით (ს. ს. რ. კ. კან. კრ. 1930 წ. № 41 მუხ. 427) იმ პირთათვის, რომელნიც მუშაობენ პირველი ზოლის შორეულ ადგილებში, აგრეთვე შავ ჭირთან მებრძოლ დაწესებულებათა მუშაკებისათვის.

V. გავრცელდეს ექიმებზე ყველა შეღავათი, რომელიც ეძლევა საინჟინრო - ტექნიკურ მუშაკებს.

VI. გადიდდეს დღიური ნორმები ხარჯებისა ავადმყოფთა კვების გაუმჯობესებისათვის ქალაქის საავადმყოფოების ქსელში 1 მან. 75 კაპეიკიდან 2 მან. 80 კაპეიკამდე და სასოფლო საავადმყოფოების ქსელში — 1 მან. 30 კაპეიკიდან 2 მანეთამდე (გარდა ამ ნორმების გადიდებისა გამომცხვარ პურზე, ფქვილსა და ბურღულზე საბარათო სისტემის გაუქმებასთან დაკავშირებით).

VII. გადიდდეს 1935 წლისათვის, წინა წელთან შედარებით, სამკურნალო - სანიტარულ ხარჯების მოცულობა მოკავშირე რესპუბლიკათა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებში და გზათა სახალხო კომისარიატის სანიტარულ განყოფილებაში 1478 მილიონი მანეთით, ამასთან დაწესდეს მათთვის ხარჯების საერთო მოცულობა 1935 წელს 4.070 მილიონი მანეთის რაოდენობით (ამ თანხაში არ შედის ხარჯები შრომის ხელფასის მომატებაზე გამომცხვარ პურისა, ფქვილსა და ბურღულზე საბარათო სისტემის გაუქმებასთან დაკავშირებით), ნაცვლად 2.592 მილიონი მანეთისა 1934 წელს.

ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე— ვ. მოლოტოვი.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი — ი. სტალინი.

1935 წელი, 4 მარტი.

დადგენილებანი

ამხ. ი. ფ. ტკაჩევის სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარ სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს: დაინიშნოს ამხ. ტკაჩევი, ივანე თეოდორესძე სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარ სამმართველოს უფროსად.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვ. მოლოტოვი.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი ი. მიროშნიკოვი.

მოსკოვი. კრემლი 4 მარტი 1935 წ.

ს. ს. რ. კავშირის სახკომსაბჭოში

მოსკოვი, 4 მარტი. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ გაათავისუფლა ამხ. უნშლიხტი, იოსები სტანისლავის-ძე სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარ სამმართველოს უფროსის მოვალეობისაგან, მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო. (ტას).

ამხ. ნ. ზიმინის გზათა სახალხო კომისრის მოადგილედ (პოლიტიკურ ნაწილში) დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: დამტკიცებულ იქნას ამხ. ნ. ნ. ზიმინი გზათა სახალხო კომისრის მოადგილედ პოლიტიკურ ნაწილში.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე — მ. კალინინი.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი — ი. აკულოვი.

მოსკოვი, კრემლი 4 მარტი 1935 წ.

ამხ. ვ. ი. პოლონსკის გზათა სახალხო კომისრის მოადგილის (პოლიტიკურ ნაწილში) მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: განთავისუფლებულ იქნას ამხ. პოლონსკი, ვლადიმერ ივანეს-ძე გზათა სახალხო კომისრის მოადგილის (პოლიტიკურ ნაწილში) მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. კალინინი.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი —ი. აკულოვი.

მოსკოვი, კრემლის 4 მარტი 1935 წ.

ამხ. პოლონსკი—საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი

მოსკოვი, 4 მარტი, 4 მარტს საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმმა დაადგინა: საკავშირო პროფსაბჭოს შემადგენლობაში კოოპტაციის წესით შეყვანილ იქნას ამხ. ვ. ი. პოლონსკი და აირჩია იგი საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრად და მდივნად (ტას).

ამხ. ზლობინის და მელამედის დანიშვნის შესახებ

მოსკოვი, 4 მარტი. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ ამხ. ა. ნ. ზლობინი დანიშნა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ სასოფლო სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და ამხ. ი. ს. მელამედი — მეორე მოადგილედ „ზაგოტზერნოს" უფროსის თანამდებობის შეთავსებით (ტას).

ფ. მახარაძე

მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღესასწაულისათვის

მოახლოვდა 8 მარტი — **მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღე**. საბჭოთა კავშირის მშრომელები ემზადებიან ამ დღისათვის. ამ დღეს უნდა შეჯამებულ იქნას ის მიღწევები და გამარჯვებები მშრომელ ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების დარგში,—რომლებიც ჩვენ მოვიპოვეთ გასულ წელს.

ყველა ქვეყნებში აღინიშნება ეს დღე, მაგრამ აღინიშნება სხვადასხვა სახით და სხვადასხვა ფორმით. სხვანაირად აღინიშნება ის **საბჭოთა კავშირში** და სულ სხვანაირად **ბურჟუაზიულ** ქვეყნებში. პირველად მთელ ისტორიაში მხოლოდ **ოქტომბრის რევოლუციამ** გაანთავისუფლა მშრომელი ქალი ყოველგვარი მონობისა და ჩაგვრისაგან. მშრომელი ქალი სავსებით გათანასწორებულ იქნა მშრომელ მამაკაცთან. საჭირო იყო მხოლოდ ამ თანასწორობის გატარება ცხოვრებაში, რაც ადვილი არ იყო. პირიქით, ეს საქმე თხოულობდა წინასწარ უდიდეს ღონისძიებების გატარებას მშრომელი ქალის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების დარგში. ეს კი ძლიერად დაკავშირებული იყო მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის, მრეწველობის და მიწადმოქმედების სოციალისტურად გარდაქმნასთან, კომუნისტური პარტიის და მუშათა კლასის დიდი ბელადის — **ამხ. სტალინის** — უშუალო ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირი გაიზარდა და გადაიქცა ერთ-ერთ უძლიერეს ქვეყნად მსოფლიოში. ამ ზრდამ და სოციალისტური მშენებლობის სწრაფმა განვითარებამ უზრუნველყო მშრომელი ქალის **ფაქტიური გათანასწორება** მშრომელ მამაკაცთან. როგორც წარმოებაში, მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში, ისე სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში, სოფლის და ქალაქის საბჭოებში, მშრომელი ქალის როლი საგრძნობლად გაიზარდა. ოდესმე დაჩაგრული და ყველასგან აბუჩად აგდებული, უსწავლელი და გაუნათლებელი მშრომელი ქალი სამუდამოდ თავს აწევს ამ სავალალო მდგომარეობას და ებმება სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, შეაქვს თავისი წვლილი საბჭოთა ქვეყნის დიად სოციალისტურ მშენებლობაში.

საბჭოთა ხელისუფლებამ, პროლეტარიატის დიქტატურამ, — ე.ი. მუშათა კლასის გამარჯვებამ იხსნა ჩვენში მშრომელი ქალი დამცირებისა და სიდუხჭირისაგან. მთელი თავისი არსებით მშრომელი ქალი, მუშა-ქალი და კოლმეურნე-ქალი დღეს ეწაფება ახალ ცხოვრებას და იჩენს ინიციატივას და შემოქმედებას, შეიარაღებული ცოდნით და შრომის სოციალისტური მეთოდებით: **დამკვრელობით და სოციალისტური შეჯიბრებით**, თავიანთ ტოლ-ამხანაგებთან—მამაკაცებთან ერთად, მშრომელი ქალები აქტიურად მონაწილეობენ **უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგებაში**. ასეთ პირობებში ხვდებიან მშრომელი ქალები 8 მარტს საბჭოთა კავშირში.

როგორ პირობებში უხდებათ ამ დღის ჩატარება მშრომელ ქალებს, მუშა-ქალებს და გლეხ-ქალებს, **ბურჟუაზიულ ქვეყნებში?** თუ საბჭოთა ქვეყანაში 8 მარტს საზეიმო სხდომები იმართება და საუკეთესო დამკვრელ ქალებს აჯილდოებენ და აწინაურებენ, ბურჟუაზიულ ქვეყნებში საუკეთესო მებრძოლ ქალებს სულ სხვანაირად უმასპინძლდებიან: ხსნიან სამუშაოდან, ართმევენ ლუკმაპურს და შემდეგ საპყრობილეში და საკონცენტრაციო ბანაკებში, ამწყვდევენ, სადაც მათ აწამებენ ისე, როგორც ეს იყო ჩვენში მეფის თვითმპყრობელობის დროს. ეკონომიური კრიზისი, რომელიც უკვე დიდი ხანია მძვინვარებს ბურჟუაზიულ ქვეყნებში, მთელი თავისი სიმძიმით უმთავრესად აწვება ქალებს, როგორც იმ მუშა-ქალებს, რომლებიც უმუშევრებად რჩებიან, ისე უმუშევარ მუშათა ცოლებს. ვინც თვალყურს ადევნებს გაზეთებს, მას ეცოდინება, რომ ამერიკის და ევროპის „ცივილიზებულ" სახელმწიფოებში (ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, ამერიკის შეერთებულ შტატებში) უმუშევრობა და შიმშილი იზრდება, და ყველა ამის მსხვერპლი უწინარეს ყოვლისა ხდება ქალი. ნივთიერ გაჭირვებას და ეკონომიურ დაქვეითება - განადგურებას თან ახლავს საერთოდ მთელი მუშათა კლასის და კერძოდ მუშა-ქალების და გლეხი-ქალების უფლებრივი პირობების გაუარესება. მთელ რიგ ბურჟუაზიულ ქვეყნებში ჩვენ თვალწინ უქრება ოდესღაც ნაქები „თავის უფლება" და მის მაგიერ ბურჟუაზია აძლიერებს თავის დიქტატურას, ზოგიერთ ქვეყნებში კი, როგორიცაა გერმანია, იტალია, უნგრეთი, ავსტრია, პოლონეთი და სხვ., ფაშისტური ბურჟუაზიის დიქტატურამ მუშებისათვის შექმნა ისეთი საშინელი და აუტანელი პირობები, რაც ჯერ კაცობრიობის წარსულ ისტორიას არ ახსოვს. ფაშიზმი ლამობს მუშათა კლასის სრულ დამონებას კაპიტალისადმი, ფაშიზმი ლამობს სავსებით შებოჭოს, სრულიად შეუკრას ხელფეხი მუშათა კლასს და თავის ყურმოჭრილ მონად გაიხადოს. ამ ბნელ საქმეში ფაშისტურ ბურჟუაზიას ხელს უწყობენ და ეხმარებიან სოციალ-დემოკრატიული ანუ მენშევიკური პარტიები, რომელთა ბელადებმა უკვე მოიკალათეს ფაშიზმის ბანაკში. მაგრამ, როგორც ვიცით, მუშათა კლასი კომუნისტური პარტიის მეთაურობით და წინამძღოლობით, არა თუ არ ნებდება ფაშისტურ ბურჟუაზიას, არამედ გამოუთქმელი, საშინელი ტერორის პირობებში, იგი აწარმოებს სისტემატიურ და შეურიგებელ ბრძოლას თავისი მჩაგვრელების და მოსისხლე მტრების წინააღმდეგ. ეს გამოიხატება არა მარტო გაფიცვებში და დემონსტრაციებში, არამედ პირდაპირ ხელჩართულ ბრძოლებში, რასაც ადგილი ქონდა გასულ 1934 წელს ავსტრიაში და ესპანიაში, ღირსშენიშვნელოვანია ამ შემთხვევაში ის ფაქტი, რომ ყველა ამ სასტიკ ბრძოლებში მუშა-ქალები იარაღით ხელში იბრძოდენ თავიანთ ძმებთან, ქმრებთან და მამებთან ერთად გმირულად და თავგანწირულად, და თუმც ისინი დღეს ფიზიკურად დამარცხებული არიან, მაგრამ ისინი თავს დამარცხებულებად არ გრძნობენ, რადგანაც სრულიად დარწმუნებული არიან იმაში, რომ საბოლოო გამარჯვება მაინც მათი იქნება, ბრძოლა კაპიტალისტურ ფაშისტურ ბურჟუაზიასა, ერთი მხრით, და მუშათა კლასს შორის, მეორე მხრით, გრძელდება კიდევ უფრო მეტი სიმკაცრით და სისასტიკით, კიდევ უფრო მეტი სიმხეცით, კიდევ უფრო მეტი ბარბაროსობით ბურჟუაზიის მხრით მებრძოლი მუშების მიმართ. მაგრამ მიუხედავად ამისა, მუშები და მუშა-ქალები არა თუ არ იხრიან ქედს ბურჟუაზიის ყველა ამ ბარბაროსულ და მხეცურ ზომების წინაშე, არამედ აღჭურვილნი მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით, ისინი კიდევ უფრო მაღლა სწევენ სოციალისტური რევოლუციის დროშას.

ასეთ მეტისმეტად მძაფრ პირობებში ჩატარდება მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღე ბურჟუაზიულ-ფაშისტურ სახელმწიფოებში, ეს დღე იქ ჩატარდება უმთავრესად ასეთი ლოზუნგით: **ძირს ფაშისტური ბურჟუაზიის დიქტატურა, დაუზოგველი, ომი სისხლიან ფაშიზმს, გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას!** უღრმესი სალამი და მთელი ჩვენი თანაგრძნობა ფაშისტურ ქვეყნების მებრძოლ პროლეტარიატს.

ჩვენ საბჭოთა ქვეყანაშიაც იბრძვიან მშრომელი მასები. ეს ბრძოლა სწარმოებს აქ **შრომის ფრონტზე, სოციალიზმის განხორციელების მიზნით**. ამიტომ 8 მარტი უნდა ჩავატაროთ იმ ლოზუნგებით, რომლებსაც დღეს კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება აყენებენ დღის წესრიგში. მთელი მუშათა კლასი, და მშრომელი ქალები კერძოდ, უნდა დაირაზმონ და მობილიზაცია უყონ მთელ თავის ძალებს, სოციალისტური მშენებლობის კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად. ეს ამოცანები შეიცავენ სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგს. აქ ჩვენ გვაქვს საქმე საბჭოების ორგანოების მუშაობის გარდაქმნასთან, ახალ ამოცანებთან დაკავშირებით, აქ ჩვენ გვაქვს საქმე მშრომელი მასების კულტურული მომსახურების და მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებასთან; ჩვენს წინაშე იმავე დროს დგანან ამოცანები **შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცებისა ფაბრიკაში და ქარხანაში**, კოლმეურნეობაში და საბჭოთა მეურნეობაში მეჩვიდმეტე პარტყრილობის დადგენილებების და ამხ. **სტალინის მითითებების საფუძველზე**.

8 მარტს მშრომელმა ქალებმა უნდა შეაჯამონ ყოველივე ის, რაც მათ გააკეთეს ყველა ამ დარგში გასულ წელს და იმავე დროს დაისახონ 1935 წლისათვის თავის მუშაობის სრულიად ნათელი და გარკვეული გეგმა. მშრომელმა ქალებმა ყველგან, სადაც კი ისინი მუშაობენ, უნდა აიღონ თავის თავზე ვალდებულება, რომ სრული ასი პროცენტით და გადაჭარბებით შეასრულონ საწარმოო გეგმა ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში. ერთერთ უდიდეს მორიგ ამოცანას წარმოადგენს **საგაზაფხულო თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარება** აგრეთვე სუბტროპიკულ, სპეციალურ და ციტრუსოვან კულტურების გეგმების შესრულება; ასევე აბრეშუმის, ბამბის და ჭარხლის გეგმების შესრულება. კოლმეურნე-ქალები და მშრომელ ერთპიროვნული გლეხი—ქალები გულმოდგინედ უნდა ჩაებენ ამ მუშაობაში, ყველა ჩვენი საბჭოთა ყრილობის და განსაკუთრებით დამკვრელ—კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობის დადგენილებების საფუძველზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ღონისძიებების მტკიცედ გატარებას ცხოვრებაში, რომლებიც შეეხებიან **მეცხოველეობის განვითარებას**, ერთი წუთითაც არ უნდა იქნას მივიწყებული ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელსაც აქცევს ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს პარტია და ხელისუფლება, კოლმეურნე-ქალებს და საერთოდ მშრომელ გლეხ-ქალებს შეუძლიათ, თუ მოინდომებენ, და უნდა მოინდომონ უთუოდ, ბევრი რამის გაკეთება მეცხოველეობის ჩქარი ტემპით განვითარების საქმეში. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კოლმეურნეობათა სამეურნეო და ორგანიზაციულ გამაგრებას, კოლმეურნეობათა და კოლმეურნეების შემოსავლიანობის ზრდას, რათა „კოლმეურნეობები გარდაიქცენ ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად და კოლმეურნეები შეიქნენ შეძლებულები" (სტალინი). ამ მხრით საქართველოში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ასე, მაგ., დღემდის მშრომელ გლეხების საერთო რიცხვის მხოლოდ 38-39 პროც. **გაერთიანებული კოლმეურნეობებში**, მაშინ როცა ეს პროცენტი მთელ საბჭოთა კავშირში აღწევს 70-75-ს. აშკარაა, კოლექტიურ მეურნეობათა ზრდას, რაც მიმდინარეობს, ყოველმხრივ უნდა შევუწყოთ ხელი, ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა ექნება სას.-სამეურნეო არტელის **ახალი სანიმუშო-წესდების** პოპულარიზაციას და ზუსტად გატარებას ცხოვრებაში. ეს მოვალეობა ყოვლისა უნდა იკისრონ მშრომელ ქალებმაც, განსაკუთრებით, კოლმეურნე ქალებმა.

8 მარტთან დაკავშირებით განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმეს. იმპერიალისტური ქვეყნები ემზადებიან ჩვენზე თავდასხმისათვის. ჩვენ უნდა ვიყოთ მუდამ მზად. უნდა გავაძლიეროთ ზრუნვა წითელი ჯარის მიმართ.

აი რა მორიგი კონკრეტული ამოცანები დგანან მშრომელი ქალების წინაშე დღევანდელ მომენტში. მშრომელი ქალები შესძლებენ ამ ამოცანების გადაჭრას, მაგრამ როგორ, რა გზით, რა მეთოდებით? კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნეს ამისათვის სათანადო ორგანოები და დაწესებულებები, რომელთა მეშვეობით ტარდება ცხოვრებაში პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ყოველივე ღონისძიება, ესენია **სოფლის და ქალაქის საბჭოები, საბჭოებთან არსებული სექციები, სადეპუტატო ჯგუფები** და სხვ. ეს ორგანოები ქმნიან **მასობრივი მუშაობის გაშლის** ნამდვილ პირობებს, ფართო მასების საბჭოთა მუშაობაში ჩასაბმელად. ისინი იძლევიან ამ მასების ინიციატივის და შემოქმედების უდიდესად გაქანების შესაძლებლობას. წარმატებით ჩავატარებთ ამ დიდ მუშაობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მუდამჟამს ვიხელმძღვანელებთ **ლენინის და სტალინის** ბრძნული და მოქნილი ტაქტიკით და მიდგომით.

8 მარტი საბრძოლო დღეა. ის არა მარტო მშრომელ ქალების დღეა,—ის არსებითად მთელი მშრომელი ხალხის დღეა. არაა საჭირო ბევრი სიტყვა და გადაჭარბებული ლაპარაკი, ჩვენ გვესაჭიროება მეტი საქმე, მეტი საქმიანი მუშაობა, მიღწევები უნდა აღვნიშნოთ, მაგრამ არა გადამეტებით, და ამავე დროს მივუთითოთ იმ ბევრ ნაკლულოვანებებზე, რომლებიც ჯერ კიდევ გვაქვს, უნდა მოვახდინოთ ფხიზელი შეფასება, როგორც მიღწევების, ისე ნაკლულოვანებების **რევოლუციური სიფხიზლით** უნდა იყოს გამსჭვალული თითოეული ჩვენი ნაბიჯი, თითოეული ჩვენი მოქმედება.

წინ მარქს-ენგელს ლენინ სტალინის წითელი კომუნისტური დროშის ქვეშ! ამ დროშით გაიმარჯვებს მუშათა კლასი მთელ მსოფლიოში.

◆

დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობის შემდეგ

ვინ აფერხებს
არტელის წესდების გამოცემას

საქ. კ.პ.(ბ) ც.-კის ბიუროს 23 თებერვლის დადგენილებით, სახელგამს 5 დღის განმავლობაში უნდა გამოეცა დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობის მიერ მიღებული სასოფლო - სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება.

სახელგამმა ეს დავალება დღემდე ვერ შეასრულა. მიზეზი ბიუროკრატიული მუშაობა და ხელმძღვანელობაა.

წესდების ბეჭდვაში გადამწყვეტ როლს სახელგამის მეორე სტამბა თამაშობს. აქ უნდა დაბეჭდილიყო 75 ათასი ცალი წესდება, მაგრამ თვით სახელგამის საწარმოო განყოფილების ცნობით, 5 მარტისათვის მხოლოდ 10 ათასი ცალი იყო დაბეჭდილი. სახელგამის პირველ სტამბაში 25 ათასი ცალ წესდებიდან დაბეჭდილია მხოლოდ 12.500 ცალი.

წესდების გამოცემა მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს. სახელგამის ცენტრალურ საწყობს (რომელიც უშუალოდ აგზავნის სავაჭრო წერტებში) 5 მარტისათვის მიღებული ჰქონდა 5.400 ცალი წესდება. ისიც დღემდე არ გადაუგზავნია რაიონებისათვის. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ტფილისისა და ხარაგოულის რაიონებს, რომლებმაც თვითონ წაიღეს.

რაიონებში წესდების დამუშავება ფერხდება წესდების უქონლობის გამო, რაც გამოწვეულია სახელგამის ხელმძღვანელების მოუქნელი მუშაობით.

შ. ჯიქია.

სოცშეჯიბრება გაჩაღდა

ყარაია, 5 მარტი. ფართოდ გაიშალა საგაზაფხულო სამუშაოები. ოქტომბრის 15 წლის, ამხ. სტალინის, ამხ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობები და კოლმეურნეობა „მხიარული ოქტომბერი“ შეუდგენ საგაზაფხულო ხვნას და ბოსტნეული კულტურების თესვას.

მინდვრად მუშაობის პირველმა დღეებმა ცხადჰყვეს შრომის კარგი ორგანიზაცია ბრიგადებში. კოლმეურნეთა საუკეთესო ბრიგადები ერთმანეთს იწვევენ სოცშეჯიბრებაში თესვის საუკეთესოდ ჩატარებისათვის.

შეჯიბრება გაჩაღდა აგრეთვე სატრაქტორო ბრიგადებს შორის. ყარაიის მტს-ის ტრაქტორისტებმა იკისრეს ვალდებულება თვითეული ტრაქტორის დატვირთვა მიიყვანონ 500 ჰექტარამდე, გასწიონ საწვავი მასალის 8 პროც., ეკონომია. (ადს).

ს. ს. რ. კ-ს. მინსახკომის დადგენილება

მოსკოვი, 4 მარტი. ს. ს.რ. კავშირის მინსახკომის დადგენილებით 1935 წლის საწარმოო გეგმების და საშემოსავლო - გასავალო ხარჯთაღრიცხვების შედგენა და დამტკიცება კოლმეურნეობებში უნდა დამთავრდეს 25 მარტისათვის. (ადს)

სონია ბაზანდარაშვილი უამბობს კოლმეურნეებს
კოლმეურნეთა საკავშირო ყრილობის შესახებ

(ბორი)

სოფ. კარალეთში 4 მარტს საღამოს 6 საათისათვის ხალხმა სკოლისაკენ იწყო დენა. მოდიან აქაური [illegible] და ერთპიროვნულები, მამაკაცები და ქალები. მოხუცები და ახალგაზრდები. მოდიან ძუძუმწოვარა ბავშვებიანი ქალებიც კი. მოდიან ჯგუფ-ჯგუფად მხიარული ბაასით.

სკოლის ორი დარბაზი უკვე საესეა, ვინც დაიგვიანა ის დარბაზში ველარ მოხვდა, მეორე ოთახში უნდა დარჩეს, ღია კარებიდან და ფანჯრიდან უნდა მოუსმინოს.

შებინდდა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე აცხადებს, რომ კრების გახსნის დროა. დარბაზი ლამპებით არის განათებული. კრებას ესწრება საქართველოს მიწადმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. გ. მათიკაშვილი.

თავმჯდომარე: ამხანაგებო ჩვენი კოლმეურნეობა ამაყობს იმით, რომ ჩვენი წარმომადგენელნი დაესწრო დამკვრელ კოლმეურნეთა როგორც პირველ ისე მეორე საკავშირო ყრილობას და პირდაპირი მონაწილეობა მიიღო ახალი წესდების შედგენაში. ჩვენ ამ წესდებას განვიხილავთ. ახლა კი მოუსმინოთ ჩვენ დელეგატ სონია ბაზანდარაშვილს.

— სონია, გვიამბე რა ნახე, რა გაიგონე.

სონია დაუზარებლად წამოდგა, მივიდა მაგიდასთან და უბრალო ენით დაიწყო:

— ამხანაგებო ამ მოგზაურობაში და განსაკუთრებით მოსკოვში მე იმდენი რამ ვნახე, იმდენი რამ ვიგრძენი, რომ ყველაფრის კი არა მთავარის თქმასაც დღეები მოუნდება.

მთავარი ის არის, რომ ვნახე ჩვენი მუშებისა და გლეხების ძლიერება, ჩვენი უძლეველობა. 48 ეროვნების დამკვრელმა კოლმეურნეებმა მოიყარეს თავი ყრილობაზე.

თქვენ იცით ამხანაგებო, რომ მე ქალაქს (ტფილისს) იქით არა ვყოფილვარ და ალბათ ვერც ველირსებოდი წასვლას, რომ არ ყოფილიყო კოლმეურნეობა და პატიოსანი დამკვრელური მუშაობა კოლმეურნეობაში.

პირველ ხანს ძალიან მაფიქრებდა ეს შორი მგზავრობა. მეშინოდა კიდეც. მაგრამ გულთბილმა და ნამდვილმა უბრალო ამხანაგურმა შეხვედრამ, რომელიც ტფილისშივე ვიგრძენი, შიში დამიკარგა.

მოსკოვში განსაკუთრებით გულთბილად შეგვხვდენ. თავს დაგვტრიალებდენ. ზრუნავდენ ყველაფერი გაგვეგო ყველაფერი გვენახა. უბრალოდ ერთი საათიც კი არ გვეცდენია, როცა სხდომებს მოვრჩებოდით, ვათვალიერებდით ქალაქს, წარმოებებს.

არ დამავიწყდება ყრილობის გახსნა. ვეება დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი, სულ დამკვრელი კოლმეურნეები, ჩვენი ხელმძღვანელი ამხანაგები და სტუმრები, იყვნენ, როცა პრეზიდიუმში სტალინი გამოჩნდა თითქო იქუხაო, ისეთი ტაშის ცემა და ვაშა ატყდა, დიდხანს ქუხდა დარბაზში ტაში. სტალინი იდგა ოდნავად თავდახრილი, თითქო ერიდება, ეხამუშება.

აქედან რომ მივდიოდი ბეროც (კოლმეურნეობის თავმჯდომარეა) და სხვებიც მეუბნებოდენ სტალინი თქვენთან მოსასვლელად სად მოიცლისო ათასი საქმეები აქვს. მაგრამ ამხ. სტალინი არც ერთ სხდომას არ დაკლებია, სულ ჩვენთან იყო; თან როგორი უბრალო და თავდაბალია. როცა შევისვენებდით ხან ერთ დელეგატს ესაუბრებოდა, ხან მეორეს, მეც მესაუბრა, ხელი ჩამომართვა, გამომკითხა ჩვენი კოლმეურნეობის ავკარგი გულდასმით მისმენდა. ჩვენთან სურათიც გადიღო. ისე კარგად იცნობს გლეხი კაცის ცხოვრებას, გეგონება თვითონაც სულ კოლმეურნეობაში მუშაობსო, რომ ისე დაწვრილებით იცის კოლმეურნეების ჭირვარამი.

ამხ. სონია ბაზანდარაშვილი

თავმჯდომარე: ბელადებიდან სხვა ვინ ესწრებოდა ყრილობას, ვინ ნახე?.

სონია: ყველანი ესწრებოდენ. ვნახე ამხ. ვოროშილოვი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, კალინინი, ბუდიონი, მართლა, ბუდიონზე უნდა გითხრათ, ამ კაცმა განსაკუთრებით იცის ცხენის დაფასება. ჩვენმა მეჯინიბეებმა და ცხენის მხედნავებმა რომ იმის მესედდათ მაინც იცოდენ ცხენის ყადრი, ცხენის ჯოგი კოლმეურნეობებში ერთი ორად უფრო ადრე და ერთი ათად გაიზრდებოდა.

ალ. ხარიბეგაშვილი: რა ენაზე იყო ლაპარაკი?

სონია: ყველა თავის ენაზე ლაპარაკობდა. ერთი ორმა არა რუსმა დააპირა რუსულად ლაპარაკი, მაგრამ უთხრეს — ამხანაგო, შენ ენაზე ილაპარაკე, ალბათ უფრო გეხერხება, ჩვენ კი ნუ მოგვერიდებიო და მართლაც ყველა თავის ენაზე ლაპარაკობდა.

დ. ჩიჩელაშვილი: სონია, ყრილობაზე შენ შეეხე ჩაის, ციტრუსების და სხვა რაიონებს. საიდან აკრიფე მასალები?

სონია: საქართველოდან მხოლოდ ერთი დელეგატი უნდა გამოსულიყო კამათში, ამიტომ ჩვენმა დელეგატებმა წინასწარ მოვილაპარაკეთ რას უნდა შევხებოდით. კამათში გამოსვლა მე დამავალეს.

დელეგატების აზრს, ამხანაგებო, დიდი ყურადღებით ექცეოდენ, ყველა კარგი საქმიანი წინადადებები ჩაიწერეს.

განსაკუთრებით კარგად იმუშავა კომისიამ. დელეგატების აზრს აქ განსაკუთრებით უწევდენ ანგარიშს, ყველას თხოვდენ თავისი აზრი გამოეთქვა. ყოველი საკითხის გარჩევის ბოლოს სტალინი პრეზიდიუმს ისევე თხოვდა სიტყვას როგორც ჩვენ დელეგატები და გვიხსნიდა ხოლმე ესათუის საკითხი როგორ, და რისთვის უნდა გავატაროთ.

ჰო ერთი რამ უნდა გითხრათ, მე როგორც კოლმეურნე ქალი ვფიქრობდი ქალების შესახებაც მინდოდა ისეთი რამ ჩაგვეწერა წესდებაში, რაც ქალების მდგომარეობას კიდევ უფრო გააუმჯობესებს.

ჩემი წინადადება ქალების დაწინაურებისა და ორსულობის დროს ქალებისათვის შეღავათის შესახებ, ყრილობამ და განსაკუთრებით სტალინმა ძალიან მოიწონა.

ხმები. რა არის მეტროპოლიტენი?

სონია: მეტროპოლიტენი, ამხანაგებო, არის მიწის ქვეშ ტრამვაი.

ხმა: რა ვქნა, მიწის ქვეშ ტრამვაის რა უნდა?

სონია: ამხანაგებო, მოსკოვში იმდენი ხალხია, იმდენი ავტომობილები, ავტობუსები, ტრამვაი და რა არ გინდათ, რომ ქუჩაში სიარული მეტისმეტად გაძნელებულია, ამიტომ პარტიას და მთავრობას გადაუწყვეტიათ მოაწყონ მიწისქვეშა ტრამვაი რომ უფრო გაადვილდეს მოძრაობა. მიწის ზედაპირზე მეტროპოლიტენს მხოლოდ 4 სადგური აქვს. დგას ლამაზი კოხტა შენობა. პირველად რომ დავინახე ვიფიქრე ამ პატარა შენობამ რა ხალხი უნდა დაიტიოს მეთქი. თურმე ხალხი იქ კი არ იცდის, იქიდან მიწაში უნდა ჩავიდეს. მიწაშია გამართული ვებერთელა სადგური, გაყვანილია ტუნელებით ლიანდაგი რომელზედაც ტრამვაი დასრიალობს.

გ. ხარიბეგაშვილი: რა სიღრმეზეა მიწაში ეგ ტრამვაი?

სონია: ძალიან ღრმად. ამბობენ 30 მეტრზე მეტი სიღრმე აქვსო.

ხ. ზაზარიშვილი: კარგი, გამაგებინეთ, შიგ არა ბნელა?

სონია: ბნელა კი არა, ელექტრონით არის გაჩირაღდნებული. მეტროს მოსამსახურეებს ყველას ერთნაირი ტანსაცმელი აცვიათ. სადგურებში და ვაგონებში სამაგალითო სისუფთავეა.

გავიარეთ მიტროთი ოთხი კილომეტრი. გადმოვედით ვაგონიდან, ვხედავთ პირდაპირ კიბეა. ვიფიქრე ალბათ ამ კიბით უნდა ავიდეთ მეთქი. შევდექი კიბეზე და ვიგრძენი, რომ კიბე თვითონ მიდის ზევით. ჩემ გვერდით ამხ. კაგანოვიჩი იდგა. გამიცინა და მითხრა ეს ჯობია თუ ტფილისის ფუნიკულიორიო.

ამხანაგებო, ჩვენ კოლმეურნეებმა უნდა ვისწავლოთ ისეთი დამკვრელური მუშაობა, როგორიც მოსკოვის მეტროს მშენებლებმა გვიჩვენეს, რომ გავამართლოთ ჩვენი ახალი წესდება და სულ მალე ყველამ კულტურულად და შეძლებულად ვიცხოვროთ.

★

კიდევ ბევრს უნდოდა შეკითხვის მიცემა მაგრამ თავმჯდომარემ გამოაცხადა რომ გვიანდება და კამათი შევწყვიტოთო.

ერთ-ერთი კოლმეურნე იძახის ბარემ წესდებაც განვიხილოთო, მაგრამ უმეტესობა იმ აზრს დაადგა, რომ წესდების ახლა განხილვა არ შეიძლება ვინაიდან წესდების თვითეულ მუხლზე უნდა დაფიქრდეს ყოველი კოლმეურნე შეიგნოს იგი და ისე გამოთქვას თავისი აზრი.

გადაწყდა, რომ ხვალ ბრიგადებში გულდასმით წაიკითხავენ წესდებას, გაარჩევენ მას, თვითეული მუხლის შესახებ იმსჯელიბენ და საერთო კრებაზე გარკვეულ აზრს მოიტანენ.

იხილავენ კოლმეურნეობათა ახალ წესდებას

ვანი, 5 მარტი. პარტრაიკომმა სას.-სამ. არტელის ახალი წესდების დასამუშავებლად ადგილებზე გაგზავნა რაიონის პასუხისმგებელი მუშაკები ამ საკითხზე წინასწარ ვანში გაიმართა რაიონული თათბირი. რომელზედაც ახალი წესდების შესახებ მოხსენება გააკეთა საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის წარმომადგენელმა ამხ. ა. ჟვანიამ.

ამჟამად ყველა კოლმეურნეობებში საერთო კრებებზე ფართოდ იხილავენ სტალინურ წესდებას.

შ. ხანიკიძე.

∴

ალბულაღი, 5 მარტი. ალბულაღ-მანგლისის რაიონის სოფლებში და კოლმეურნეობებში ფართოდ გაიშალა კოლმეურნეობათა ახალი წესდების განხილვა-დამუშავება. კოლმეურნეობათა დასახმარებლად რაიონიდან გაიგზავნა 30 პასუხისმგებელი მუშაკი.

რაიონის დაბლობ ნაწილში უკვე გაიშალა საგაზაფხულო ხვნა-თესვა. კოდის, ახურეთის და ხახრაშენის სას. საბჭოები თესვას ამ დღეებში დაამთავრებენ.

ახურეთის მტს-ის ტრაქტორები 3 მარტს გავიდენ მინდვრად.

ჭილოხანი.

∴

ჩხოროწყუ, 4 მარტი. პირველ მარტს ჩხოროწყუში მოწვეული იქნა სასოფლო-საბჭოების და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების რაიონული თათბირი, რომელმაც განიხილა და დამუშავა სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი წესდება. ახალი წესდების დასამუშავებლად ადგილებზე უკვე გაიგზავნენ რაიონის პასუხისმგებელი ამხანაგები.

ახალი წესდების მასობრივი განხილვა-დამუშავება, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული საგაზაფხულო თესვის კამპანიასთან, უფრო მეტად აძლიერებს ერთპიროვნულ მეურნეთა ლტოლვას კოლმეურნეობებისაკენ.

მუხურის სასოფლო საბჭოში ჩამოყალიბდა ერთი ახალი კოლმეურნეობა, სადაც გაერთიანდა 29 კომლი. ამ კოლმეურნეობას ეწოდა ამხ. კუიბიშევის სახელი. აქ არსებულ კოლმეურნეობებს შეემატა 65 ახალი წევრი.

ა. ზოგინავა.

∴

ხაშური, 4 მარტი (საკ. კორ.). დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობის შედეგების და სასოფ.-სამ. არტელის ახალი წესდების დამუშავებასთან დაკავშირებით, გაშლილ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობის საფუძველზე 28 თებერვალს სოფ. წაღვერში ჩამოყალიბდა ახალი კოლმეურნეობა. წევრთა საერთო სურვილის თანახმად კოლმეურნეობას ეწოდა დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობის სახელი.

15 თებერვლის შემდეგ ძველ კოლმეურნეობებს შეემატა 50 კომლზე მეტი წევრება.

∴

ტყიბული, 4 მარტი (საკ. კორ.). სოფ. ხრესილში ჩატარებულ რაიონის საკოლმეურნეო თათბირის შემდეგ, საწირის სას. საბჭოში ფართოდ გაიშალა სას.-სამ. არტელის ახალი წესდების განხილვა-დამუშავება. ამასთან დაკავშირებით გაძლიერდა თესვისათვის მზადება.

სოფ. ზედაუბნის კოლმეურნეობამ ყამირი ნაკვეთები მთლიანად გაწმინდა და გაასუფთავა: დაბა ძველისა და სოფ. საწირის კოლმეურნეობებმა დამკვრელი ტემპით დაიწყეს მინდვრად სასუქის გატანა. 2 მარტისათვის სულ 1.000 ურემი სასუქი იყო გატანილი.

ამხ. იაკოვლევის მოხსენებისა და ახალი წესდების დაწვრილებით გაცნობის შემდეგ სოფ. ძიროვანში ჩამოყალიბდა ახალი კოლმეურნეობა.

გამოყოფილი ბრიგადები, რომლებშიაც შედიან მასწავლებლები და სოფლის სხვა კულტურული ძალები, ყველა კოლმეურნეობაში და ერთპიროვნულ მშრომელ გლეხთა კრებებზე ეცნობიან ამხ. იაკოვლევის მოხსენებას და ახდენენ არტელის ახალი წესდების დამუშავებას.

ბ. მერკვილაძე.

მ. კილაძე

საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანი

ვიბრძვით ჩაის მაღალი მოსავლისათვის

„მეორე ხუთწლედში ამიერ - კავკასიამ ძირითადად უნდა დააკმაყოფილოს მთელი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება ჩაის მხრით“.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ეს ისტორიული გადაწყვეტილება მახარაძის რაიონის ჩაის ძირითადი რაიონის ბოლშევიკებისათვის წარმოადგენდა და წარმოადგენს ყოველდღიურ საბრძოლო ამოცანას. ამის დამადასტურებელია ის გამარჯვებები რომელიც რაიონმა მოიპოვა ამ უკანასკნელ წლებში ჩაის კულტურის განვითარების ფრონტზე.

ამჟამად რაიონში ჩაის პლანტაცია სულ გაშენებულია 7.247 ჰექტარზე, აქედან საბჭოთა მეურნეობებში 2007 ჰექტარია კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეობის საკარმიდამო ფართობზე 5240 ჰექტარი.

ჩაის მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში 1932 წელი იყო უდიდესი გარდატეხისა და შემდგომი წინსვლის წელი. პლანტაციების აღდგენა, რემონტი, ახალი ფართობის ათვისება, საკუთარი სათესლე ფონდის შექმნა. მელიორაცია, ხელოვნური და ბუნებრივი სასუქის შეტანა. სარეველა ბალახებიდან გაწმენდა და პლანტაციების კარგად შელობვა, აი ის ძირითადი ღონისძიებანი, რომლებმაც უზრუნველყვეს მოსავლიანობის გადიდება ჰექტარზე 600 კილოგრამიდან 1200 კილოგრამამდე.

ჩაის კრეფის ციფრი ამ უკანასკნელ წლებში ერთიორად იზრდება. 1931 წ. მოიკრიფა 342.986 კილო 1932 წ. 581.885 კილო, 1934 წელს კი 1.096.000 კილოგრამი.

რაიონში მუშაობს ჩაის ოთხი ფაბრიკა, ამჟამად შენდება ორი ახალი ფაბრიკა. ფაბრიკებმა დიდი წარმატებებს მიაღწიეს ფოთლის გადამუშავების ტექნიკის ათვისებაში. გეგმის მიხედვით პირველი ხარისხის ჩაი უნდა გამოშვებულიყო 6 პროცენტი, ფაქტიურად გამოშვებულ იქნა 12 პროცენტზე მეტი. უმაღლესი ხარისხის ჩაი წელს პირველად იქნა გამოშვებული 9945 კილოგრამის რაოდენობით.

ეს მიღწევები მოპოვებულ იქნა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და პირადად ამხ. ლავრენტი ბერიას კონკრეტულ-ოპერატიული ხელმძღვანელობითა და დახმარებით.

ამხ. ბერიას ჩვენ რაიონში ჩამოსვლამ, მის მიერ პირადად კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების დათვალიერებამ და პრაქტიკული მითითებების მოცემამ უდიდესი დახმარება გაუწია რაიონის ბოლშევიკებს რათა ისინი ჩაის ფრონტზე მოწინავეთა რიგებში გამოსულიყვნენ.

ამხ. ლ. ბერიას ლოზუნგმა „თვალის ჩინივით გავუფრთხილდეთ ჩაის თვითეულ ბუჩქს“, დიდი გამოხმაურება ჰპოვა მუშათა და კოლმეურნეთა ფართო მასებში, ისინი ნამდვილად დარწმუნდნენ, რომ ჩაის ბუჩქის წესიერად მოვლა წყვეტს მოსავლიანობის გადიდების ბედს. სწორედ ამიტომ არის, რომ კოლმეურნეობებში განუწყვეტლივ იზრდება შრომის ნაყოფიერება.

რაიონის პარტიული ორგანიზაცია თანმიმდევრულად ანხორციელებს დიდი ბელადის ამხ. სტალინის ლოზუნგს კოლმეურნეობის ბოლშევიკურ კოლმეურნეობად და კოლმეურნის შეძლებულად გადაქცევის შესახებ.

კოლექტივიზაციამ ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურების განვითარების გზით შესცვალა რაიონის სახე. მეფისა და მენშევიკების დროს გაოხრებული და გაპარტახებული რაიონი დღეს დაფარულია ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურებით, კოლმეურნეობებით და საბჭოთა მეურნეობებით, ფაბრიკებით და ქარხნებით, კარგი გზებით.

3-4 წლის წინად რაიონში არცერთი ავტომანქანა არ იყო, ახლა 60 მანქანა მუშაობს. რაიონის მშრომელი გლეხობა საბჭოთა ხელისუფლებამდე გაღატაკებული, მშიერი და უმიწაწყლო ნოვოროსისკში, ფოთში, ბათომსა და ჭალადიდში ეძებდა სამუშაოს. დღეს თავის ეზოში კოლმეურნეობაში არის, დატვირთული შრომის - ტევადი უძვირფასესი ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურებით, რომლებმაც იგი შეძლებული და კულტურული ცხოვრების გზაზე დააყენეს.

მაღალი, კრამიტით დახურული ოდა სახლები, რკინის საწოლები, საოჯახო ნივთები, სიმებიანი საკრავი, პატეფონი, ჟურნალ - გაზეთები, ძვირფასი მცენარეებით გაშენებული ეზო, უხვი მოსავალი, შინაური პირუტყვი ასეთია დღეს დამკვრელი კოლმეურნე გლეხის ოჯახი.

რამდენიმე მაგალითი: კოლმეურნე ელისე ხომერიკი (ს. შრომა), კოლმეურნეობაში შესვლამდე უკიდურეს ღარიბად ითვლებოდა. გარდა ისლით დახურული ფაცხისა, მას არაფერი გააჩნდა, კოლმეურნეობაში შესვლის შემდეგ მან ოთხთვალიანი ოდა სახლი დაიდგა თუნუქით დახურული; საკარმიდამო ფართობზე დარგო 200 ძირი ლიმონი, მანდარინა და ფორთოხალი რაც ჯერჯერობით წლიურად იძლევა 4000 მანეთის შემოსავალს. ხომერიკმა შეიძინა ერთი წყვილი რკინის საწოლი, გაიკეთა სამი მაგიდა, შეიძინა ვენური სკამები, შკაფი და სხვა საოჯახო ნივთები; იყიდა საუკეთესო ჯიშის ორი ძროხა, დარგო 400 ძირი დაბალი ჯიშის ვენახი, რომელიც წლიურად იძლევა 60 ფუთ ღვინოს. მან და მისმა ოჯახის წევრებმა 1934 წელს გამოიმუშავეს 412 შრომა-დღე და მიიღეს 192 ფუთი ხორბალი და 90 ფ. სიმინდი, მიიღეს აგრეთვე ლომი, ლობიო, სოია და 800 მან. ფულად.

კოლმეურნე გიორგი გოგოთიშვილმა (ს. ნატანები) გამოიმუშავა 400 შრომადღე, მიიღო 213 ფუთი ხორბალი, სიმინდი და 870 მანეთი ფულად. კოლმეურნეობაში შესვლის შემდეგ მან ააგო 3 თვალი კრამიტით დახურული ოდა, შეიძინა მრავალი საოჯახო ნივთი, იყიდა რკინის საწოლი, ძროხა და სხვ.

კოლმეურნე მელიტონ მეხუზლამ (ს. გურიანთა) 1934 წელს (მთელი ოჯახით) გამოიმუშავა 509 შრომადღე, მიიღო 365 ფუთი ხორბალი, სიმინდი და 700 მანეთი ფულად. მეხუზლამ ააგო ოთხთვალიანი სახლი, იყიდა ორი რკინის საწოლი, ფეხსაცმელები, 100 მეტრო ფართლეული, ამას გარდა მელიტონმა შეიძინა ძროხა, მრავალი საოჯახო ნივთი და სხვ.

ასეთ ცხოვრებაზე კი წინათ მხოლოდ ოცნებობდა გურული გლეხი.

1933 წლის პირველ იანვრამდე კოლმეურნეობებისათვის გაცემული სესხი (2.800.000 მანეთი) ჩამოაწერა მთავრობამ. რაც წარმოადგენს მძლავრ სტიმულს კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისა და მისი ბოლშევიკურად გადაქცევისათვის.

წარსული წლების მიღწევები ათასჯერ ზრდის ჩვენს პასუხისმგებლობას კიდევ უფრო მედგრად ვიბრძოლოთ 1935 წლის დავალებათა ბოლშევიკურად შესრულებისა და მოსავლიანობის გადიდებისათვის.

1935 წელს რაიონმა უნდა მოკრიფოს 3.700.000 კილო ჩაის მწვანე ფოთოლი. პლანტაციის მოსავალი ჰექტარიდან უნდა გავადიდოთ 1200-1400 კილოგრამამდე.

გარდა ამისა ჩვენ უნდა გავაშენოთ 80 ჰექტარამდე ციტრუსოვანკულტურა, რომ არაფერი ვთქვათ სიმინდისა და სხვა კულტურების თესვაზე და დამუშავებაზე.

ამ ძირითადი ამოცანების შესრულებისათვის საჭიროა, პირველ ყოვლისა, ავამაღლოთ პარტიელებისა და კომკავშირლების ავანგარდული როლი არა მარტო წარმოებაში, პლანტაციებზე, არამედ საზოგადოებრივ - მასობრივ მუშაობაშიც უნდა დავირაზმოთ რაიონის მთელი ძალები დასახული ამოცანების ბოლშევიკურად შესრულებისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილება, და კოლმეურნეობათა ახალი სტალინური წესდება წარმოადგენს ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების განხორციელების გასაღებს. ჩვენ კარგა ხანია გავშალეთ მუშაობა პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ვამუშავებთ ახალ წესდებას, რომელსაც კოლმეურნეები აღფრთოვანებით ხვდებიან.

ჩვენს მიღწევებს უეჭველად ახლავს ნაკლულოვანებანიც. კოლმეურნეობათა (ცალკე ბრიგადებში შრომის ორგანიზაცია ჯერ კიდევ არ დგას თავის სიმაღლეზე; მოუგვარებელია მუშა-ხელის, ცოცხალი გამწევი ძალის და სას.-სამ. ინვენტარის სწორად განაწილების საკითხები.

ჩვენთვის ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქალთა და მოზარდთა შრომის მაქსიმალურად გამოყენებას. პლანტაციების და ყანების კულტივაციის საშუალებით დამუშავებას, ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას და შრომის ორგანიზაციის [illegible] დაყენებას.

ამ მიმართულებით რაიონი კარგა ხანია შეუდგა მზადებას. თვითეულ კოლმეურნეობას მიეცა ცხენების შეძენის უფლება. რამდენიმე კოლმეურნეობამ უკვე შეიძინა მათთვის საჭირო ცხენი, ჩვენ ამით ვამზადებთ პირობებს იმისათვის. რომ კულტივაციის გატარების საშუალებით გავანთავისუფლოთ მამა კაცის შრომა, რომელსაც, სამაგიეროდ, ჩაის მწვანე ფოთლის კრეფაზე გამოვიყენებთ. ყველა კოლმეურნეობაში იხსნება ბავშვთა ბაგები და მოედნები, მუშავდება საკითხები ქალთა და მოზარდთა შრომის უკეთ გამოყენებისათვის.

დაწვრილებით შესწავლილია რაიონში რვა სუსტი კოლმეურნეობის ჩამორჩენის მიზეზები და განვითარების [illegible], მიღებულია ყველა ღონისძიება, რომლის განხორციელების საშუალებითაც ჩამორჩენილებმა თავი უნდა დააღწიონ გარღვევებს და ჩადგენ რაიონის მოწინავე კოლმეურნეობათა რიგებში. არტელის ახალი წესდება ამის აუცილებელ პირობას იძლევა.

შრომის ორგანიზაციის და დაგეგმის უკეთ მოწყობის მიზნით გადასინჯულ იქნა ცალკე კოლმეურნეობები და ბრიგადები საწარმოო დავალებათა მიცემის ბრიგადებზე, მუშახელის, ცოცხალი გამწევი ძალის და ინვენტარის სწორად მიმაგრების თვალსაზრისით.

6 თებერვალს რაიონში გაიხსნა 60 ბრიგადის და 15 ფერმის ხელმძღვანელის გადასამზადებელი კურსები.

ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს გადავამზადოთ ყველა კოლმეურნეობის თავმჯდომარე და ბრიგადირი. გასულ წელთან შედარებით წელს ჩვენმა კოლმეურნეობებმა ნახევარ მილიონზე მეტი შემოსავალი მიიღეს. მთავრობამ მათ ჩამოაწერა სესხი. ამასთან ერთად ჩაის ფოთლის ფასის საგრძნობლად მომატება უდიდეს სტიმულს იძლევა კოლმეურნეობების განსამტკიცებლად და მოსავლიანობის გასადიდებლად.

საბჭოთა მეურნეობები ახლა და კარწახებულნი ატარებენ საგაზაფხულო სამუშაოებს ლაითურის ამხ. კიროვის სახელობის საბჭოთა მეურნეობამ აიღო ვალდებულება პირველობის მოსაპოვებლად.

კლასობრივი მტრის ნაშთები შეეცდებიან ყველა მახინაციებით. ზურგიდან მიხვეულ მოხვეული ბნელი ხვრელებით ხელი შეგვიშალონ უდიდესი ამოცანების შესრულებაში, მაგრამ ჩვენი რაიონის პარტიული ორგანიზაცია, გამობრძმედილი მტერთან ბრძოლაში, ბოლშევიკური სიფხიზლის გამახვილებით. შესძლებს მტრის ნარჩენების მახინაციების გამომჟღავნებასა და მათ საბოლოოდ მოსპობას.

ბრძოლა საბჭოთა ჩაისათვის ჩვენი ღირსების, სახელის და გმირობის საქმეა.

წელს ქვეყანას უნდა მივცეთ 3 მილიონ ნახევარ კილოგრამზე მეტი ფოთოლი — ასეთია ჩვენი საბრძოლო ამოცანა.

◆

ინგლისის მინისტრები მხარს უჭერენ მოსკოვში გამგზავრებას

ლონდონი, 4 მარტი. როგორც საქმესთან კარგად გაცნობილ წრეებში აღნიშნავენ, საიმონიც და იდენიც განწყობილი არიან მოსკოვში გამგზავრების სასარგებლოდ. თემთა პალატაში დიდი უმრავლესობა აგრეთვე მხარს უჭერს მოსკოვთან კონტაქტის დამყარებას, გამგზავრების გზით მთავრობის წევრები, — წერს „დეილი ტელეგრაფის“ დიპლომატიური მიმომხილველი, — რომლებსაც მე ველაპარაკე, აღნიშნავენ, რომ საჭიროა თავიდან იქნას აცილებული ყოველგვარი ისეთი ნაბიჯები, რომლებსაც შეუძლიათ შექმნან შთაბეჭდილება — თითქოს უშვებენ რაიმე განსხვავებას დაინტერესებული მთავრობების მიმართ. აქიდან შეიძლება გამოვიყვანოთ ის დასკვნა, რომ იგივე მინისტრები, რომლებიც ბერლინში გაემგზავრებიან, ჩაატარებენ უფრო ხანგრძლივ მოგზაურობას მოსკოვში, ბოლო შემდეგ ვარშავაში“. მთავრობის თვალსაზრისი საბოლოოდ გამოირკვევა კაბინეტის 6 მარტის სხდომაზე. მაგრამ უკვე ახლაც შეიძლება იმის თქმა, —წერს შემდეგ მიმომხილველი, — რომ ინგლისის წარმომადგენლებს არ შეუძლიათ დაეთანხმონ გერმანიის რაიმე წინადადებას იმის შესახებ, რომ დასავლეთ ევროპის მთავრობები დაკმაყოფილდენ უშიშროების შექმნით დასავლეთში“.

„ტაიმსის“ ვარშაველი კორესპონდენტის სიტყვით, არ არის ცნობები, იმის შესახებ, რომ უკანასკნელ დღეებში შეიცვალა პოლონეთის მთავრობის უარყოფითი პოზიცია აღმოსავლეთის პაქტის მიმართ. „ამ ფაქტი, — წერს კორესპონდენტი, — რომ საბჭოთა კავშირი დაჟინებით მოითხოვს პაქტის დადებას, ალბათ, აძლიერებს პოლონეთის მთავრობის უარყოფით პოზიციას“.

„მორნინგ პოსტის“ სიტყვით, ინგლისის მთავრობამ გადაწყვიტა. რომ მოსკოვში გამგზავრება წარმოადგენს „ბერლინის საუბრის საჭირო დამატებას“.

ოფიციალურ მიწვევას საბჭოთა მთავრობისაგან მოელიან ამ კვირაში და მოსკოვში გამგზავრება მოხდება „როგორც კი ეს მოსახერხებელი იქნება ბერლინიდან ინგლისის მინისტრების დაბრუნების შემდეგ“.

მხოლოდ „დეილი მეილი“ განაგრძობს გამოსვლას მოსკოვში გამგზავრების პროექტის წინააღმდეგ.

როგორც კემინგსი „ნიუს კრონიკლში“ წერს, ევროპის ერთერთმა გამოცდილმა დიპლომატმა მასთან საუბრის დროს განაცხადა, რომ საიმონის განზრახული დარბაზობა მოსკოვში წარმოადგენს „ყველაზე უფრო მნიშვნელოვან და კრიტიკულ დიპლომატიურ ნაბიჯს 1919 წლიდან“ კემინგსი სასტიკად გმობს წინადადებას იმის შესახებ, რომ მოსკოვში საიმონის ნაცვლად გაგზავნილ იქნას იდენი და გამოთქვამს იმედს, რომ მოსკოვში გაემგზავრება „სრული დიპლომატიური დელეგაცია“, რაც მოწონებული იქნება ინგლისის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მიერ. (ადს)

—●—

საიმონის ჩამოსვლა გერმანიის პრესის ყურადღების ცენტრში

ბერლინი, 3 მარტი. აქ ყურადღების ცენტრში მოქცეულია ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის საიმონის ჩამოსვლა, რომელიც დანიშნულია 7 მარტისათვის. საიმონის ჩამოსვლასთან დაკავშირებით „ბერლინერ ბერზენცეიტუნგი“ მოწინავე წერილში კვლავ მკაცრად ილაშქრებს აღმოსავლეთის პაქტის წინააღმდეგ, და მხარს უჭერს შეთანხმების დადებას ევროპის ქვეყნებს შორის საბჭოთა კავშირის მონაწილეობის გარეშე. გაზეთი სასტიკად ილაშქრებს აღმოსავლეთის პაქტის წინააღმდეგ, აგრეთვე დუნაის პაქტის წინააღმდეგ, და მოუწოდებს საფრანგეთს და ინგლისს შექმნან „სოლიდარობა“, რომელიც იდგომება უფრო მტკიცე საფუძველზე, ვიდრე პაქტების (ბლოკური სისტემა“.

აქ დიდი ყურადღებით და აშკარა ნერვიულობით შეხვდენ პარიზიდან მიღებულ ცნობას იმის შესახებ, რომ შესაძლებელია ლავალის გამგზავრება მოსკოვში. გაზეთები ჯერჯერობით თავს იკავებენ იმისაგან, რომ გაუკეთონ კომენტარიები ამ [illegible] (ადს).

—●—

თეთრგვარდიელ ბანდიტთა შეგროვება საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის

პარიზი, 3 მარტი. ბელგიის „პეპლი“ იუწყება, რომ ატამან სემიონოვის რწმუნებული ლიეჟში აგროვებს რუს თეთრგვარდიელ ემიგრანტებს, წინადადებას აძლევს რა მათ გადასახლდენ მანჯოუ-გოში და ამასთან პირდება ფულად დახმარებას, მანჯურიის ხელისუფლების მფარველობას და სამუშაოს. გაზეთი აღნიშნავს, რომ საქმე ეხება თეთრგვარდიელ ბანდიტების შეგროვებას საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის. „მოითმენენ თუ არა მთავრობა და ბელგიის პარლამენტი, — კითხულობს გაზეთი, — რომ ჩვენს ქვეყანაში წარმოებდეს დასაქირავებელთა შეგროვება ავანტიურისტების, რომელიც ემუქრება მშვიდობიანობას დედამიწის ყველაზე მგრძნობიარე უბანზე?“ (ადს).

—○—

მოსკოვიდან რადიო-გადაცემის მოსმენისათვის საპატიმრო

ბერლინი, 4 მარტი. ჰალში მშენებელ მუშას შეპესკის მიუსაჯეს 6 თვით პატიმრობა. შეპესკიმ მოისმინა რადიოგადაცემა მოსკოვიდან და სტრასბურგიდან და მისი შინაარსი გააცნო ამხანაგებს (ადს).

საჰაერო ფლოტზე ლენინური კომკავშირის შეფობის ოთხი წლისთავი
საზეიმო სხდომა წითელი არმიის სახლში

საჰაერო ფლოტზე ლენინური კომკავშირის შეფობის ოთხი წლისთავის აღსანიშნავად გუშინ 5 მარტს, წითელი არმიის სახლში შედგა საქ. ალკკ ტფილისის კომიტეტის გაერთიანებული პლენუმი კომკავშირის აქტივის და თავდაცვა-ავიაქიმის აქტივთან ერთად. პლენუმი გახსნა კომკავშირის ტფილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ქ. მაისურაძემ.

საბჭოთა ავიაციის მიღწევების შესახებ პლენუმზე მოხსენებით გამოვიდა კ.წ.დ.ა. საჰაერო ძალთა უფროსი ამხ. ნიკიტინი. საჰაერო ძალთა ტფილისის გარნიზონის მუშაკთა სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. კოზლოვმა.

შემდეგ პლენუმზე გამოვიდენ პიონერ-მოდელისტები, რომლებმაც დარბაზში გააფრინეს თავიანთი მოდელები.

შემდეგ პლენუმმა მოისმინა ტფილისის აეროკლუბის უფროსის ამხ. ქ. ჯიბლაძის პატაკი აეროკლუბის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ. ამხ. ჯიბლაძემ პლენუმს წარუდგინა და გააცნო ახლად კურსდამთავრებული პილოტები. პლენუმმა მხურვალე ოვაციები გაუმართა მუშა-პილოტებს და მათ მასწავლებლებს ტფილისის აეროკლუბის ინსტრუქტორებს— ამხ. გ. გოგოშიძეს, ალახანიას და გოგლიჩიძეს.

შემდეგ გაიმართა მისალმებები. კომკავშირის 26 კომისრის სახ. რაიკომის წარმომადგენელმა ამხ. ვახელიძემ გამოაქვეყნა ცნობები რაიკომის საშეფო საჰაერო ძალთა გაერთიანების დამკვრელ მუშაკთა დაჯილდოების შესახებ.

დასასრულ, სიტყვებით გამოვიდენ ახლად გამოშვებული მუშა-პილოტები, რომლებმაც სიტყვა დასდვეს, რომ ერთგულად და ფხიზლად იდგომებიან ახალ სადარაჯოზე და მუდამ მზად იქნებიან სოციალისტური სამშობლოს საზღვრების დასაცავად.

საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი
მეცამეტე ტურის შედეგები

ამ ტურის სენსაცია იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონ ბოტვინიკის პირველი დამარცხება. ბოტვინიკის მოწინააღმდეგემ მოსკოველ მაესტრო კანმა აირჩია ე.წ. ვენური დებიუტი, რომელსაც თანამედროვე, სატურნირო პრაქტიკაში იშვიათად ხმარობენ. დებიუტში ბოტვინიკმა მიიღო უკეთესი მდგომარეობა და მისი მოწინააღმდეგე კანი ინიციატივის შესანარჩუნებლად იძულებული შეიქმნა შეეწირა პაიკი. შემდეგ ბოტვინიკმა სრულიად უსაფუძვლოდ მოინდომა მეორე პაიკის მოგება, ამით ისარგებლა კანმა, შეიჭრა თავის ფიგურებით მოწინააღმდეგის ბანაკში და ჩქარა აიძულა ბოტვინიკი, დანებებულიყო. მიუხედავად ამ დამარცხებისა ბოტვინიკი კვლავ წინ არის. მსოფლიო ექსჩემპიონი ლასკერი შეხვდა მოსკოვის ჩემპიონ რიუმინს, ფრანგულ პარტიაში რიუმინმა ადვილად შესძლო პარტიის ყაიმით დამთავრება:

ლევენფიშმა —ბოგატირჩუკის წინააღმდეგ კაროკანის დაცვაში აირჩია პანოვის ცნობილი ვარიანტი, და კომბინაციურ თამაშში აიძულა ბოგატირჩუკი დანებებულიყო.

ცვალებადი შეტაკებების შემდეგ რაბინოვიჩმა მოუგო შპილმანს.

ვერა მენჩიკმა ყაიმით დაასრულა თავისი პარტია ლილიენტალთან.

საინტერესო იყო ფლორისა და კაპაბლანკას შეხვედრა, კაპაბლანკამ შავებით აირჩია საყაიმო ვარიანტი. ფლორი დებიუტით ღებულობს უმნიშვნელო უპირატესობას, მაგრამ პარტია მაინც ყაიმით დამთავრდა.

დამსახურებულ მაესტრო რომანოვსკიმ პაიკების ენდშპილში მოუგო თავის მოწაფე ლენინგრადელ ჩეხოვერს.

ალატორცევ - პირცის პარტია ყაიმით დამთავრდა. მწვავე ბრძოლის შემდეგ, ყაიმით დამთავრდა რაგოზინ -გოგლიძის პარტიაც.

ლისიცინ - შტოლბერგის პარტია გადაიდო საყაიმო მდგომარეობაში.

მეცამეტე ტურის შემდეგ ტურნირის მდგომარეობა ასეთია:

ბოტვინიკი + 10, ფლორი + 9½ ლევენფიში + 9, ლასკერი + 8½, კაპაბლანკა + 8, კანი და რომანოვსკი + 7. რაგოზინი, რაბინოვიჩი, ლილიენტალი და შპილმანი + 6½ რიუმინი, ალატორცევი და პირცი + 6, ლისიცინი + 5 (2 გად.) გოგლიძე და შტოლბერგი + 5½ (1 გად.). ბოგატირჩუკი + 4½ ჩეხოვერი + 3½, მენჩიკი + 1.

ცამეტი ტურის განმავლობაში საბჭოთა კავშირის მაესტროები შეხვდენ უცხოელებს 66 პარტიაში. აქედან მათ მოიგეს 20 პარტია, წააგეს 20 და 25 დამთავრდა ყაიმით. ერთი პარტია დაუმთავრებელია და გადაიდო.

დღეს 6 მარტს გათამაშდება მეთოთხმეტე ტური. თამაშობენ: ბოტვინიკი — ლასკერი, ლილიენტალი— რომანოვსკი, გოგლიძე —პირცი, კაპაბლანკა — რაბინოვიჩი, ჩეხოვერი —ლევენფიში, რიუმინი —ბოგატირჩუკი, ალატორცევი — კანი, ლისიცინი — რაგოზინი, მენჩიკი — ფლორი, შტალბერგი — შპილმანი.

თვალთმაქცი პ. ქიქოძე გარიცხულია პარტიიდან

საქართველოს კ.პ.(ბ) პარტკოლეგიამ დაადგინა: თვალთმაქცობისათვის ლიტერატურულ ნაწარმოებებში კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ ზინოვიევურ შეხედულებათა შენიღბული ფორმით პროპაგანდისათვის, ახალგაზრდა მწერალთა ზოგიერთ ნაწილს შორის გამხრწნელი მუშაობისათვის პ. ქიქოძე („სალიტერატურო გაზეთის“ ყოფილი რედაქტორი) გაირიცხოს პარტიიდან.

8 მარტის დღესათვის საუბრების და მოხსენებების სქემა

1. საბჭოთა ქალების სასიხარულო დღე.

8 მარტი — საბჭოების მთელი ქვეყნის სასიხარულო დღეა. — შეხედეთ, როგორ ძირფესვიანად შესცვალა სოციალიზმის გამარჯვებებმა ქალის მდგომარეობა საბჭოთა კავშირში. — „ნეპური რუსეთი გადაიქცა სოციალისტურ რუსეთად“. — ქალთა მილიონები უშუალოდ აშენებენ სოციალიზმს.—გლეხ ქალთა მილიონები საკოლმეურნეო წყობილებამ ახალ ცხოვრებას დააწაფა. —განსაკუთრებით განსაცვიფრებელია ნაციონალური რაიონების ქალის გზა.—უმნიშვნელოვანეს პოსტებზე; — ნაჩვენებ იქნას თავისი საწარმოს, თავისი ქალაქის მაგალითების მიხედვით ს.ს.რ. კავშირის ქალის მიერ განვლილი სახელოვანი გზა! — ციფრებით და ფაქტებით გაშუქდეს, თუ რა გაკეთდა საბჭოების ქვეყანაში ქალთა შრომის პირობების და ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებლად მათ ჩასაბმელად საზოგადოებრივ ცხოვრებასა და წარმოებაში.

2. გავიხსენოთ წარსული

რა იყო!—მშრომელ ქალთა ორმაგი მონობა ცარიზმის დროს.—ექსპლოატატორთა მიერ არაადამიანური ჩაგვრა და საოჯახო კაბალა.—სიბნელე და უვიცობა. საზიზღარი მეფური კანონი ქორწინების უფლების და განქორწინების შესახებ.—„უკანონოდ შობილნი“. — დაკანონებული პროსტიტუცია. — გლეხი-ქალის უუფლებობის და მონობის გულშემზარავი სურათი.—ქალის უუფლებობის მწვერვალი მეფის კოლონიებში.

3. დღეს კაპიტალიზმის ქვეყნებში

ქალის საუკუნოებრივი ჩაგვრის და უთანასწორობის წყობილება. — განსაკუთრებული სახის დეპრესია უდიდეს ზიანს აყენებს მშრომელ ქალს. —გერმანიის ფაშიზმი აღადგენს შუასაუკუნოების საშინელებებს, წარმოებიდან მოხსნილ მუშა ქალებს ადგამს მემამულეების და კულაკების უღელს — მუშა ქალთა შრომის საკატორღო პირობები იაპონიაში.— „იერიშის იდეა მწიფდება მასების შეგნებაში“ (სტალინი).—ქალი ვენის და ასტურიის ბარიკადებზე.—მუშა-ქალების მონაწილეობა და როლი ანტიფაშისტურ და ანტისაომარ მოძრაობაში. — მოძმე კომპარტიები—ქალთა მშრომელი მასების რევოლუციური ბრძოლის მებრძოლი ორგანიზატორებია.

4. ლენინ-სტალინის პარტიამ გაათავისუფლა ქალი

ლენინი ქალთა სრული განთავისუფლების და ნამდვილი თანასწორობის გზების შესახებ. — სტალინი —ლენინის საქმის დიადი გამგრძელებელი. — პარტიის გენერალური ხაზის გამარჯვებამ, სოციალიზმის გამარჯვებამ შექმნეს ქალის ფაქტიურად განთავისუფლების ეკონომიური ბაზა.

5. მთავარია — ადამიანები, რომლებიც ეუფლებიან ტექნიკას.

არ გავმედიდურდეთ, არ დავმშვიდდეთ, — ფართოდ გავშალოთ ზრუნვა მშრომელ ქალთა მატერიალურ - საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე, მათ კულტურულ ზრდაზე. — დიდი სტალინის მითითებანი და საბჭოების მეშვიდე ყრილობის გადაწყვეტილებანი საფუძვლად დავუდოთ მთელს პრაქტიკულ მუშაობას. — გავუფრთხილდეთ ადამიანებს და აღვზარდოთ ისინი. — მთელი ყურადღება ქალის მიერ ახალი ტექნიკის დაუფლებას. — მაღალი კვალიფიკაციისათვის. — შრომის ისეთი ნაყოფიერებისათვის, რომელიც სოციალიზმს შეეფერება.— უკლასო სოციალისტური საზოგადოების კულტურული მშენებლობისათვის. — აღინიშნოს მოცემულ საწარმოს პრაქტიკული ამოცანები.

6. თვალის ჩინივით გავუფრთხილდეთ საბჭოთა წყობილებას.

დამარცხებული კლასობრივი მტრის ნამსხვრევები და მისი კონტრრევოლუციური აგენტურა უძლური გაბოროტებით მიმართავენ ინდივიდუალური ტერორის ფაშისტურ მეთოდებს, მათ აღებული აქვთ ინტერვენციის კურსი. — საბოლოოდ მოვსპოთ კონტრრევოლუციური ქვეწარმავალი, გავაათკეცოთ კლასობრივი სიფხიზლე. — უფრო მეტი შეუპოვრობით განვამტკიცოთ პროლეტარიატის დიქტატურა, რომელსაც მივყევართ საბჭოთა დემოკრატიზმის მწვერვალებისაკენ. — უფრო მეტად გავაძლიეროთ ჩვენი დიადი სამშობლოს თავდაცვის უნარი. — უფრო მაღლა ავწიოთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა, უფრო შევამჭიდროვოთ ჩვენი რიგები პარტიის გარშემო, სტალინის გარშემო.

(ჟურ. „აგიტატორის თანამგზავრიდან“).

მომხსენებლებისათვის ლიტერატურის სარეკომენდაციო სია ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის შესახებ

1. **ლენინი** — ქალთა განთავისუფლების შესახებ. პარტგამომცემლობა 1934 წ.
2. **ლენინი** — თხზულებანი ტ. XII. საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი შტუტგარტში“. გვ. 80, 90-91.
3. **ლენინი** — თხზულებანი ტ. XXIII. სიტყვა, წარმოთქმული მუშა ქალთა პირველ სრულიად რუსეთის ყრილობაზე 1918 წ. 19 ნოემბერს. გვ. 285—286.
4. **ლენინი** — ტ. XXIV, (გვ. 467—472. მუშა ქალთა მოძრაობის ამოცანების შესახებ საბჭოთა რესპუბლიკაში. საბჭოთა ხელისუფლება და ქალის მდგომარეობა. გვ. 517—519
5. **ლენინი** — ტ. XXV. გვ. 40—41. მუშა ქალებს. ტ. XXV, გვ. 63—64, „მუშა ქალთა საერთაშორისო დღისათვის“.
6. **კრუპსკაია** — „ლენინის ანდერძი ქალთა განთავისუფლების შესახებ“. სტატიების კრებული.
7. **კ. ცეტკინი** — „ლენინის ანდერძი მთელ მსოფლიოს ქალებს“. ა.-კ. სახელგამის გამოცემა.
8. **სტალინი** — საანგარიშო მოხსენება პარტიის XVII ყრილობაზე საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ. პარტგამომცემლობა 1934 წ.
9. **სტალინი** — სიტყვა, წარმოთქმული დამკვრელ კოლმეურნეთა პირველ საკავშირო ყრილობაზე.
10. **მოლოტოვი** — საანგარიშო მოხსენება მთავრობის მუშაობის შესახებ ს.ს.რ. კავშირის საბჭოების VII ყრილობაზე.
11. **ლ. ბერია** — მოხსენება IX ყრილობაზე გვ. 93—98.
12. **მუსაბეკოვი** — მოხსენება VII ყრილობაზე. „კომუნისტი“ 1935 წლ. 18 თებერვალი.
13. „შესრულებულია ლენინის ანდერძი, შესრულებულია სტალინის ფიცი“. 1930 წლ. 30 იანვრის „პრავდა“.
14. **საბჭოების არჩევნებისათვის.** კრუპსკაიას და მ. ი. ულიანოვას სტატიები. სახელგამი 1934 წ.

ქალი საბჭოთა სამუშაოზე. გაერთ. სახელგამი 1934 წ.

15. **გორკი** — ქალის შესახებ „ბოლშევიკი“ № 7, 1934 წ. გვ. 40—55.

ქალები სასოფლო საბჭოებში. მოსოლქ-ალმასკომის გამომცემლობა 1934 წ.

17. **„კომინტერნი და მშრომელი ქალი“** (1919—34 წლ. ძირითადი დოკუმენტები). კირსანოვას შესავალი სტატია 1934 წ.
18. **კირსანოვა** — „ქალთა პროლეტარულ მასებისათვის“. სიტყვა, წარმოთქმული კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე. ჟურნალი „კომინტერნაციონალი“ № 13, 1934 წ. გვ. 31—43.
19. **ტან-ჩინ-ჩი** — „ქალი საბჭოთა ჩინეთში“. კომინტერნი 1933 წ. 4/V, გვ. 55—56.
20. **გრანცბერგი** — „მუშა-ქალები კაპიტალიზმთან ბრძოლაში“. ს.ს.რ.კ. რემედასის ც. კ-ის გამოცემა 1934 წ. გვ. 20..

დღეს საავიაციო ზეიმია

სურათზე: კურსანტების მზადება გაფრენისათვის. შუაში (წრეში) პირველი ქართველი კომკავშირელი მფრინავი ქალი ნინო ხუბულავა.

□ □

დღეს ტფილისის აეროკლუბი აწყობს საავიაციო დღესასწაულს, რომელიც მიძღვნილია მუშა-პილოტების გამოშვებისადმი, რომლებმაც უკვე შეისწავლეს თვითმფრინავის მართვა. მათ წარმატებით აითვისეს საჰაერო ტექნიკა, დაეუფლნენ თვითმფრინავს და წარმატებითვე ჩააბარეს გამოცდები კურსდამთავრებულები სწავლობდნენ წარმოებიდან მოუწყვეტლივ. დილიდან ისინი იბრძოდნენ საწარმოო გეგმების შესასრულებლად, ხოლო საღამობით ხარბად ეწაფებოდნენ სწავლას. კურსდამთავრებულთა შორის 3 ქალია,—მათ შორის ერთი —**ნინო ხუბულავა** პირველი ქართველი მფრინავი კომკავშირელი ქალი.

სწავლის კურსი ერთ წელიწადში დავამთავრეთ. მოსწავლეები შეგროვილ იქნენ ტფილისის წამყვანი ფაბრიკა-ქარხნების საუკეთესო დამკვრელი მუშა-კომკავშირელებისაგან.

ტფილისის აეროკლუბმა მისცა ქვეყანას კომკავშირელი მუშა - პილოტები. თვითმფრინავები უზრუნველყოფილია გამოცდილი ენტუზიასტი მმართველებით. ახალგაზრდა პილოტები მზად არის პარტიისა და ხელისუფლების პირველი მითითებისთანავე შეუდგენ ახალი საჰაერო საქმეების შესრულებას. აეროკლუბის ეს მიღწევა ჩვენი პროლეტარული საზოგადოებრიობის დახმარების შედეგია. ის ძალღონე, რომელიც ამ საზოგადოებრიობამ მისცა აეროკლუბს, არ დაკარგულა, აეროკლუბმა მოგვცა სამაგიერო პროდუქცია: პილოტი.

ტფილისის აეროკლუბი მხოლოდ ერთი წელიწადია არსებობს. კლუბის დამფუძნებელ ორგანიზაციათა უმრავლესობამ არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები; არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ აეროკლუბის ფინანსიური ბაზა უზრუნველყოფილი იყოს. ეს გარემოება აბრკოლებდა კლუბის წინაშე მდგარ ამოცანათა შესრულებას. აეროკლუბების ლოზუნგია—„მოდელებიდან პლანერამდე, პლანერებიდან თვითმფრინავამდე“. ამ ლოზუნგის განსახორციელებლად კლუბს არ ჰქონდა ფინანსიური შესაძლებლობა. ერთად-ერთი ორგანიზაცია სარეწაო საბჭო იყო, რომელმაც პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინა კლუბს თავის მიმდინარე მუშაობაში. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელების—ამხ. ნ. ზახარაძის და ან. კალანდაძის ინიციატივით, სარეწაო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებმა შეიძინეს და აეროკლუბს გადასცეს სასწავლო თვითმფრინავები, რომლებზედაც ვარჯიშობდნენ ახლად გამოშვებული მუშა-პილოტები.

დღეს კომკავშირელი პილოტი ნინო ხუბულავა გვიჩვენებს თვითმფრინავის დაუფლების ტექნიკას. იგი პირველი ქართველი კომკავშირელი პილოტი ქალია, მაგრამ გაისად ჩვენ ათეული ასეთი პილოტი ქალი უნდა გვეყოლოს. ჩვენმა აეროკლუბმა ათეულობით და ასეულობით მუშა-პილოტები უნდა მისცეს ქვეყანას. ამას მოითხოვს ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი უნარიანობის განმტკიცების საქმე, ამას მოითხოვს ჩვენი სატრანსპორტო ავიაციის განვითარების ინტერესი.

ტფილისის აეროკლუბს მეტი დახმარება უნდა გაუწიოს მისმა დამფუძნებელმა ორგანიზაციებმა.

ტფილისის აეროკლუბის უფროსი.
ნ. ჯიბლაძე

□ □ □ □ □ □ □

8 მარტს

ქალები 2 ს. ადრე თავისუფლდებიან სამუშაოდან

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს განმარტების თანახმად, ქალთა საერთაშორისო დღის — 8 მარტს ყველა საწარმოსა, დაწესებულებასა და მეურნეობაში თავისუფლდებიან ჩვეულებრივ ვადაზე ორი საათით ადრე.

იმ საწარმოსა, დაწესებულებასა ან მეურნეობაში, სადაც ქალები უმრავლესობას შეადგენენ, მუშაობა ორი საათით ადრე წყდება.

იმ პირთ, რომელნიც გასამრჯელოს მტკიცე განაკვეთის მიხედვით ღებულობენ, ხელფასიდან არაფერი არ დაექვითებათ. ხოლო მათ, რომელთაც გასამრჯელო ნაწარმოებით ან დღიურად ეძლევათ, ასეთი მიეცემათ ორი საათისათვის მათი სატარიფო განაკვეთის მიხედვით.

იმ საწარმოებში, სადაც მუშაობის ხასიათის მიხედვით მუშაობის შეჩერება შეუძლებელია (ტელეგრაფი, ტელეფონი, საავადმყოფო, ტრანსპორტი, სასადილოები, პურის ქარხნები, პურის სავაჭრო (და სხვ...) ქალები მუშაობიდან არ თავისუფლდებიან და მათ ხელფასი ჩვეულებრივი რაოდენობით მიეცემათ.

ფოთის ნავსადგური მოწინავეა

გასულ წელს საბჭოთა კავშირის ნავსადგურები ჩაბმული იყვნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომლის ერთერთი ძირითადი მუხლი იყო დატვირთვა - გადმოტვირთვის სამუშაოთა გეგმის მთლიანად შესრულება. სოცშეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა ფოთის ნავსადგური, რომელმაც დამკვრელი მუშაობისათვის ჯილდო მიიღო.

ამის გამო ფოთის ნავსადგურის უფროსმა ოდესიდან შავი ზღვის სანაოსნო სამმართველოს პოლიტგანყოფილებისაგან მიიღო დეპეშა, რომელშიაც პოლიტგანყოფილება ულოცავს ფოთის ნავსადგურის მუშებს და ინჟინერ - ტექნიკურ მუშაკებს საკავშირო კონკურსში გამარჯვებას და იმედს გამოსთქვამს, რომ ფოთის ამხანაგები 1935 წლის პირველი კვარტალის გეგმასაც ვადაზე ადრე შეასრულებენ.

თქვენი გამარჯვება 1934 წლის შეჯიბრებაში, — წერს პოლიტგანყოფილება, — საწინდარი უნდა იყოს იმისა, რომ თქვენ გაიმარჯვებთ კიროვის სახელობის მეოთხე საკავშირო ლაშქრობაში.

□ □ □

საზაფხულო სეზონისათვის ბათომის ქალაქის საბჭომ დაამთავრა ზღვის პირას, შმიდტის ქუჩის გასწვრივ ჩინური პავილიონის მშენებლობა. შენობა მთლიანად ბამბუკისაგან არის აგებული და მეტად ორიგინალურ სანახაობას წარმოადგენს.

სურათზე: ჩინური პავილიონის საერთო ხედი.

1.700.000 მანეთი „ცენტროლიტის“ გასაფართოებლად

საქ. ადგილობრივი მრეწველობის სახ. კომისარიატთან არსებული მანქანათმშენებელ მრეწველობის სამმართველოში მიღებული ცნობებით მიმდინარე წლის განმავლობაში ფოლად-თუჯის ჩამომსხმელი ქარხნის—„ცენტროლიტის“ მშენებლობის გაგრძელებასა და ახალი საქარხნო კორპუსების აგებაზე დახარჯული იქნება 1.700.000 მანეთი.

ამ თანხით წელსვე უნდა დამთავრდეს მესამე, მეოთხე და მეშვიდე ახალი საქარხნო კორპუსების მშენებლობა. უნდა დამთავრდეს აგრეთვე არსებული მეორე საქარხნო კორპუსის მოწყობა მანქანებითა და დაზგებით. უნდა იქნეს აგებული მუშათა საცხოვრებელი 4 დიდი სახლი. უნდა დამთავრდეს დენის გადამცემი ხაზის გაყვანა ზაჰესიდან ქარხნამდე და ახალ საქარხნო კორპუსებში უნდა დაიდგას მოწყობილობები იმ ვარაუდით, რომ 1936 წლიდან „ცენტროლიტმა“ უკვე შეიძლოს პროდუქციის (ლითონის სხმულის) გეგმიანად გამოშვება.

ამჟამად ქარხანა მუშაობს უმთავრესად ფოლადისა და თუჯის სხმულის მიღების ტექნიკის ათვისებაზე და ტექნიკური პერსონალის მომზადებაზე.

—○—

კონკურსი ბავშვების საუკეთესო

კულტმომსახურეობაზე

10 მარტიდან იწყება კონკურსი ბავშვებისათვის კულტმომსახურების საუკეთესოდ გაწევაზე. კონკურსში ებმებიან პროფესიული კავშირები, მუშათა კლუბები, სკოლებთან არსებული დამხმარე საბჭოები, პედაგოგები და სხვ.

კონკურსის შედეგები შეჯამებული იქნება ივნისის ბოლოს. ბავშვებისათვის კულტმომსახურების საუკეთესოდ გაწევისათვის დაჯილდოებული იქნებიან საუკეთესო მშობლები, რომლებიც მათ ბავშვებს სახლში შეუქმნიან კულტურული ცხოვრების საუკეთესო პირობებს; დაჯილდოებული იქნებიან საუკეთესო მასწავლებლები, ექიმები და პიონერ - მეთაურები და სხვ.

საკავშირო საგზაო შეჯიბრებაში

საქართველომ საპატიო სიგელი მიიღო.

გაზ. „იზვესტიასთან“ არსებულმა სრულიად საკავშირო საგზაო სოცშეჯიბრების ცენტრალურმა შტაბმა შეაჯამა შეჯიბრების პირველი (1934) წლის შედეგები.

შეჯიბრებაში ყველაზე უკეთეს მაჩვენებლებს მიაღწიეს ჩუვაშთა ავტონომიურმა რესპუბლიკამ და გორკის მხარემ, რომლებიც [illegible] ასრულებენ საგზაო მშენებლობის გეგმებს, აუმჯობესებენ მშენებლობის ხარისხს, და, რაც მთავარია, იბრძვიან გზების საუკეთესოდ მოვლა - შენახვისათვის.

ისინი დაჯილდოებული არიან სოცშეჯიბრების არბიტრის — „იზვესტიას“ რედაქციის მუდმივი საპატიო დროშებით.

ჩუვაშიისა და გორკის მხარის შემდეგ **შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიჭირა დაღესტანის ავტონომიურმა რესპუბლიკამ,** რომელმაც უღრესად მძიმე ბუნებრივ პირობებში 1934 წელს მიაღწია მნიშვნელოვან შედეგებს უგზოობასთან ბრძოლაში. **დაღესტანს მიენიჭა საკავშირო გარდამავალი დროშა,** რომელიც შეჯიბრების მეორე (1935) წლისათვის წარმოადგენს მხარეების, რესპუბლიკებისა და ოლქების ბრძოლის შემდგომ ობიექტს.

შემდეგ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკა, რომელიც საუკეთესო შედეგებს იძლევა საგზაო მშენებლობაში მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის წესით ჩაბმის მხრივ, მაგრამ ჩამორჩება გზების მოვლა-პატრონობასა და მასობრივი მუშაობის გაშლაში.

საქართველოს რესპუბლიკამ ჯილდოდ მიიღო პირველი საპატიო სიგელი. ამასთან დაჯილდოებულ იქნენ რესპუბლიკის მოწინავე რაიონსაბჭოები, კოლმეურნეობები და ცალკე დამკვრელი — ენთუზიასტები.

პრესის ხაზით, შეჯიბრების არბიტრმა განსაკუთრებით აღნიშნა გაზ. „კომუნისტისა“ და ლანჩხუთის სარაიონო გაზ. „დამკვრელი კოლმეურნის“ აქტიური ბრძოლა უგზოობის ლიკვიდაციისათვის და **დააჯილდოვა ისინი საპატიო სიგლებით.**

● ● ●

იშვიათი შემთხვევა

ტფილისის ზოოპარკში

ტფილისის ზოოპარკში ყავთ აფრიკული ტიპის მახრჩობელა გველი, რომელიც იკვებება თვეში ერთხელ კურდღლის, ქათმის ან სხვა შინაური ცხოველის ხორცით. ამ ჯიშის გველები ყველაზე დიდი ზომისა არიან ქვეწარმავალთა შორის, მათი სიგრძე ხშირად 10—12 მეტრს აღწევს.

ამას წინათ მახრჩობელა გველს საჭმელად მისცეს ცოცხალი კურდღელი. მშიერ გველთან მიყვანილ კურდღლის ბაჭიას მახრჩობელა წამსვე შემოეხვია. მეთვალყურეებს ეგონათ ბაჭია უკვე მკვდარი იყო, როცა მახრჩობელამ იგი გადაყლაპა. ამის შემდეგ გველმა სხვა საჭმელს აღარ დააკარა პირი. გადაყლაპვის შემდეგ გველის სტომაქში, რაღაც „მოძრაობა“ შეიქნა და მართლაც ჩვენ მოწამენი გავხდით იმის, რომ რამდენიმე წუთის შემდეგ მახრჩობელამ კურდღელი ისევ გარეთ გამოაგდო.

გაბრუებული ბაჭია რამოდენიმე წამის განმავლობაში ძირს ეგდო, შემდეგ წამოხტა და [illegible] თავი აარიდა. ამის შემდეგ ბაჭიამ იცოცხლა კიდევ ორი თვე და შემდეგ იგი კვლავ გველის მსხვერპლი გახდა.

გველის ყბაში ნამყოფ ცოცხალ ბაჭიაზე ჩატარებულ იქნა ცდები. ანალოგიური შემთხვევები, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება ზოოპარკების პრაქტიკაში.

ტფილისის ზოოპარკის სამეცნიერო ნაწილის გამგე ზოოლოგი ა. ჯანაშვილი.

ხელოვნება

ვ. კომისარჟევსკაიას ხსოვნის საღამო

25 წელიწადი შესრულდა, რაც რუსულ სცენას გამოაკლდა შესანიშნავი შემოქმედი, თეატრალური ხელოვნების დარგში დახავსებული ფორმების წინააღმდეგ აღგზნებული მებრძოლი და მუდამ ახალის მაძიებელი ვერა კომისარჟევსკაია.

კომისარჟევსკაიამ მძიმე და ეკლიანი გზა განვლო. ძველი საყოფაცხოვრებო თეატრი მას არ აკმაყოფილებდა, საიმპერატორო თეატრების დახშული ატმოსფერო მას სულს უხუთავდა, ვერც სამხატვრო თეატრის კედლებში იგრძნო შვება ამ დაუდგრომელმა ხელოვანმა, ის ინტუიტურად ეძებდა სცენიური ხელოვნების ახალ ფორმებს, მაგრამ მისთვის ვერ მიაგნო. კომისარჟევსკაია გაექცა ძველ თეატრს და საკუთარი თეატრის შექმნა, რომელსაც ახალი სიტყვა უნდა ეთქვა თეატრალურ ხელოვნებაში.

და როდესაც ვს. მეიერხოლდმა აჯანყების დროშა აღმართა მოსკოვის სამხატვრო თეატრის ნატურალიზმის წინააღმდეგ და რამდენიმე თავის მომხრესთან ერთად დასტოვა თეატრი, კომისარჟევსკაიამ მას თავშესაფარი მისცა თავის „ახალ თეატრში“ და ყოველგვარ დახმარებას დაპირდა ექსპერიმენტების დროს.

ეს იყო დასავლეთის სიმბოლიზმით, დეკადენტობის გაწყობილებით გატაცების პერიოდი 1906 წლის პოლიტიკური რეაქციის გამარჯვების შემდეგ. **ვ. მეიერხოლდის, ნ. ევრეინოვის, თ. კომისარჟევსკის და ა. ტაიროვის** მონაწილეობამ „ახალ თეატრში“ განსაზღვრა მისი მიმართულებაც. თეატრი გადაიქცა სიმბოლიკის და სტილიზაციის თეატრად. დემოკრატიულ მაყურებელს, რომელსაც კომისარჟევსკაიაში უყვარდა მისი გრძნობების უშუალობა, გულწრფელობა, მხურვალე პროტესტი ძალადობისა, თვითნებობისა და სისაძაგლის წინააღმდეგ, აღარ აკმაყოფილებდა კომისარჟევსკაიას თამაში სიმბოლისტურ პიესებში, იგი დაშორდა თეატრს. მაყურებელთა გულგრილობა ჰკლავდა მსახიობს და იგი ჩამოშორდა მეიერხოლდს.

კომისარჟევსკაია ჯერ ამერიკაში გაემგზავრა. ხოლო იქიდან დაბრუნებისას ხელახლა დაარსა დასი და დაიწყო მოგზაურობა პროვინციაში. მაგრამ ვერც ამან დააკმაყოფილა მისი მგზნებარე, მუდამ ახლის მაძიებელი გული და კომისარჟევსკაიამ გადასწყვიტა ჩამოშორებოდა სცენას. „მე მივდივარ იმიტომ, — წერდა კომისარჟევსკაია თავის დასს,—რომ თეატრი იმ ფორმით, რომლითაც ის ახლა არსებობს, მე სრულიად აღარ მეჩვენება, იმ გზას კი, რომელსაც მე მივდიოდი ახალი ფორმების საძიებლად, მე სწორად აღარ ვთვლი. მე მივდივარ თეატრიდან, მაგრამ მრჩება რწმენა მომავლის, რწმენა ახალ შესაძლებლობათა“.

გარდაიცვალა კომისარჟევსკაია ყვავილისაგან, რომელიც მას ტაშკენტში შეეყარა გასტროლების დროს.

კომისარჟევსკაია არ იყო რევოლუციონერი, მაგრამ ის მთელის გულწრფელობით იბრძოდა მეფის სატრაპების ძალადობის წინააღმდეგ ებრძოდა რუტინას თეატრალურ ხელოვნებაში, ეძიებდა სცენიური ხელოვნების ახალ ფორმებს. ამდენად ის ახალი რუსული თეატრის წინამორბედად ითვლება.

4 მარტს ტფილისის საბჭოთა საზოგადოებრიობამ ვერა კომისარჟევსკაიას გარდაცვალების 25 წლის თავი აღნიშნა მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი დიდი საღამოთი წითელი არმიის სახლში. განსვენებულის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ საინტერესო მოხსენება წაიკითხა ფ. რადოლინმა. შესრულებული იქნა ნაწყვეტები იმ პიესებიდან, რომლებშიაც თავის დროზე თამაშობდა კომისარჟევსკაია. შესანიშნავად წაიკითხა რუსულად კომისარჟევსკაიასადმი მიძღვნილი ლექსი მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობმა თამარ ჭავჭავაძემ.

ყოვლად უმგვანო იყო პროგრამის მუსიკალური ნაწილი. თუ აუცილებელი იყო პროგრამაში ვოკალური ნომრების შეტანა, ტფილისში შეიძლებოდა უკეთესი მომღერლების შერჩევა.

შ. ბ.

პარტკალენდარი

— საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომი წინადადებას აძლევს ყველა ტიპის სკოლებისა და წრეების (მათ შორის პარტიის ისტორიის წრეების). პროპაგანდისტებს კიდევ ერთ მეცადინეობაზე ა.-წ. 7 მარტს განაგრძონ დამუშავება თემისა: „პარტიის ბრძოლა დემოკრატიული ცენტრალიზმის“ და „მუშათა ოპოზიციის“ ანტიპარტიულ ჯგუფთან.

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი 1934-35 წ. სეზ.
დღეს 6 მარტ. ქეთო და კოტე. დასაწყ. 12 საათზე. სალ. 8 ს. 10 წ. ... 7 მარტს, 8 ს. 9 წ. სახ. არტ. ივ. ფალიაშვილის ბენეფისი. 8 მარტს 15 საათ. 9 წარ. ტრავიატა
ის აბონემენტი რომლებსაც არ აქვთ მეტაილი ... 10 ... დასაწყისი თავისი წარმოდგენის ერთი დღით ადრე. წარმოდგენაზე არ დაიშვებიან და მათი ადგილები გაიყიდება.
სალარო ღიაა დღისით 11—2 ს. და სალ. 6—9 ს.
დასაწყისი საღამოს 8 ს.

6 მარტს 18 საათ. 6 წარ. ბანაში | 8 მარტს ... შლეგები | 9 მარტს ... შლეგები
ტფილისის მოსწ. ... ახალგაზრდობისათვის 6 და 12 მარტს, დღის 12 საათზე ბანაში შეღავათიან ფასებში.
სალარო ღიაა 11—2. 6—9 საათამდე. დასაწყისი 8 საათზე.

მარჯანიშვილის თეატრი
6 მარტს ... წარმოდგენა № 101 ოტელო
8 მარტს აბ. № 5 20-6 წარ. № 102 ოტელო
სალარო ღიაა 11-2 ს. 6-9 ს. დასაწყისი 8 საათზე.

სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზი | 6 მარტს.
VIOLIN—ABEND
ლეო მიქაბაშვილი
როიალის პარტიას შეასრულებს გრიგორიევი.
დასაწყისი 9 ს. ბილეთები საქფილის სალარო. მი.
7012

ოქტომბერი 5-30. 7-30 9-10. 11
დამკვრელი 6-30. 8-30. 11
ეპაკი 6, 7-15, 8-30, 9-15, 11
ლუნაჩარსკის სახ. 6, 7-15, 8-30, 9-15, 11
...-ის კომ. სახ. ... 10-30

ხმოვანი ჯაზ კომედია მხიარული ახალგაზრდობა დღის სეანსები 11 საათიდან.
მცდარ კვალზე. 1 სერია. დღის სეანსები 12 საათიდან.
... დღე მამილოს გზუკელა
... დღე მარჟინ ბლეიკის გამცემლობა ...
... რესპუბლიკის მეკავშირე კრინცი ...

ქალ. ტფილისის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი დ. ა. ხვანიძე
ამით აცხადებს, რომ ის ა.-წ. 10 მარტს ნაშუადღევის 12 საათზე, ... ქ. № 8 სახლში
საჯარო ვაჭრობით გაყიდის
„რუსხტრომსტროის“ შემდეგ ქონებას:
... 3 005 მან. ... 31 ოქტომბრის თარიღით და 2542 ...
სასამართლოს აღმასრულებელი ხვანიძე.
7003

გ მოვიდა და იყიდება
ლიტერატურული მოთხრობა კალონა
ბავშვები ... 1935
7005

დაიკარგა ჩამოთვლილი საბუთები ჩ. ვ. ... პასპორტი № 205476, ... № 813343 და სამხედრო ბილეთი ... პასპორტი № 141334 ... № 5

ექიმი ფერ-ოვაკიმოვი ნევროზები (შიშია, სექსუალური ფუნქციონალური და სხვა ნევროზები) ფსიქოთერაპია (ჰიპნოზი, შთაგონება და სხვ.) ნარკოტიზმი. მიღ. დილის 11—12 ს.; სალ. 8—9 ს. ... № 22. 6—2 6791

ექიმი გ. ნ. ონანოვი იფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი სქესობრივი უძლურების მკურნალობა. ავადმყოფთა მიღება დილ. 10—12-მდე. სალ. 5½—8 მდე. ... ქ. № 5 ... 56 5 5 1

ექიმი ბერიშვილი ვენერიული, საშარდე, სასქესო, სიფილისი და კანისა. დილ. 9—12 ს. და 6—8 ს. ... № 8 ... 414 10-1

ექიმი გ. ნ. ონანოვი სიფილისი ვენერიული და კანის სნეულებანი სქესობრივი უძლურების მკურნალობა. ავადმყოფთა მიღება დილით 10—12-მდე და საღამოთი 6—8- ... № 5 ... 25-1

ცოლი ნადეჟდა, შვილები: გრიგორი, ნინა, კატო, და რძალი მარგარიტა, იუწყებიან ილია ზეხარიაის-ძე სახვაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 7 მარტს 4 საათზე.

7 მარტს 3 საათზე სახ. ოპერის დარბაზში დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი სახალხო არტისტის ივანე პეტრეს-ძე ფალიაშვილის ხსოვნის აღსანიშნავად, რასაც იუწყება ქვრივი ლიდია მიხეილის ასული ფალიაშვილი.

თბილისის სახელმწიფო ოპერის სამკუთხედი და კოლექტივი იუწყებიან, რომ 7 მარტს 3 საათზე საოპერის დარბაზში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი სახალხო არტისტის ივანე პეტრეს-ძე ფალიაშვილის ხსოვნის აღსანიშნავად. ხელოვნების მეცნიერების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები მიიღებენ დარბაზში შესასვლელ ბარათს თეატრის ადმინისტრაციისაგან.

მშობლები: მამუკა და დათიკო შვილებით: ლეილა და ლამარათი, ბებია ნატა, მამიდა დისი ქმრით ისიდორეთი, ბიძები: ლადო და ისიდორე ცოლშვილით გრიგოლავები იუწყებიან პატარა შუქურის გარდაცვალებას. დაკრძალვა 7 მარტს 3 ს. კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება თემრიკოვის ქ. № 14 (ლერიაონი).

სერგო და აგრაფინე ცაგარეიშვილები შვილებით, ნატა ჭავჭავაძე, ვარლამ და მარო მოგელაძეები, სტეფანე და ვერა ელიოძეები შვილებით, დათიკო და მართას ცაგარეიშვილები დიდი ლინა იუწყებიან პატარა შუქურის მოულოდნელ გარდაცვალებას.

მშობლები: ვერა და დავითი თევდორაშვილები შვილებით: კლარა, როზა, შოთა, ბიძაშვილი თამარა იუწყებიან პატარა შამშის უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს 4-ს. ვერის სასაფლაოზე გამოსვენება საკ. ბინიდან მარტის ქ. № 1.

მეუღლე მარო შვილებით: ბესო, ნიკო, ლიდა, ვერა, გრიშა, რძალი თებრო შვილიშვილები შოთა და ლამარა იუწყებიან ვლადიმერ კოპალიანის გარდაცვალებას.

დედა ნატაშა, ქმარი კუზა, დები: ოლღა, ბაბო, და ძმა გოგი იუწყებიან ანიკო ხომასურიძე ლოლობერიძის გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი დღეს 7 ს. გამოსვენება 7 მარტს 5 ს. ბინიდან ორჯონიკიძის ქ. № 92.

ა. კაშელა და ზ. დუდუჩავა იუწყებიან პირველის მეუღლე და მეორის დედა ხადეთ ხახიანის ასული ქვაშალის გარდაცვალებას. დაკრძალვა 8 მარტს.

ხერხების სახელობის კლინიკის თანამშრომლები: სვ. ყიფშიძე, ო. ზანგურიძე, ქ. ცომაია, ს. ენუქიძე, მ. ჩაგარიძე, თ. ნინიძე, გ. ისაკაძე, ლ. ლეჟავაძე, თ. ყაჩელი, ჩ. ნადირაძე, ა. რუხაძე, გ. გრიგოლაშვილი, ა. ზოიძე, მ. მინდაძე, ვ. საკაშვილი, იუწყებიან ასისტენტი გარდაცვალებას.
ანტონ ბახტაძის

მეუღლე ოლია, შვილებით: თამარა, რუსუდანა, პალიკო ჩხენკელები, სიდედრი მართა შვილებით ქეისლები: კოლა, გოგი, ვალიკო, ცოლშვილით იუწყებიან ივანე პავლეს-ძე ჩხენკელის გარდაცვალებას. დაკრძალვა 9 მარტს.

საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის პრეზიდიუმი იუწყება ამხ. ა. ქუთათელაძის თავმჯდომარის ამხ. ა. დუდუჩავას დედის ხადეთ ხახიანის ასული ქვაშალის გარდაცვალებას.

დედა ვერა, ქმარი ბიკენტი, შვილები ოთარი და ნოდარი, ბებია ელენე, ბაბუა ... დეიდები: პასიკო და ჟენია იუწყებიან პატარა შოთა თედორაშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს 4 ს. ვერის სასაფლაოზე. გამოსვენება მარტის ქ. № 1.

ცოლი ეფროსინე, შვილები: ბორისი, გიორგი და მედეა, ძმები: კოლია და დიმიტრი იუწყებიან ვიქტორ ჯათუს-ძე ალექსანდრიას უდროოდ დაკარგვას. სამოქ. პანაშვიდი დღეს 7-ს. დაკრძალვა 7 მარტს ნაშუადღევის 4-ს. ლენინგრადის ქ. № 3.

ვანო სვიმონის-ძე, მეუღლე ლენა, და შვილები მადონა, ნადირა კობაიძეები იუწყებიან ვიქტორ ჯათუს-ძე ალექსანდრიას გარდაცვალებას. გამოსვენება 7 მარტს 4 ს. საკუთარ ბინიდან ლენინგრადის ქ. № 3

ა. დუდუჩავა, ლ. ციხისთავი, ვ. თოფურია, ბ. ბუაჩიძე, ა. ჩიქობავა, მ. ზანდუკელი, მ. დუდუჩავა, ვ. კოტეტიშვილი, აკ. შანიძე, ალ. ბარამიძე, შ. რადიანი ა. ხუნდაძე, ვ. ცინცაძე, ვ. ბერიძე, კ. კეკელიძე, ი. აბულაძე, გ. ახვლედიანი, ვ. კაკაბაძე, იუწყებიან ვალოდია ასათიანის მამის ვასილ ასათიანის გარდაცვალებას.

გ. გოგუაძე, პ. კეკელიძე, ა. გვახარია, დ. დუდუჩავა, გ. გეგეშიძე, ა. კვაჟაძე, გ. ფრანგიშვილი, ... ლებანიძე, გ. მღივანი, უ. ობოლაძე, ვ. გოცირიძე, ვ. ქობულია, ა. ჯაფარიძე, ლ. ზეგეჭკორი, იუწყებიან ვალოდია ასათიანის მამის ვასილი ფარსადანის-ძე ასათიანის გარდაცვალებას.

ალექსანდრე სხიერელი დედ-მამით თორდანე და კატოთი, ცოლი ფედოსიათი და შვილი თინათი იუწყებიან ბიძაშვილის ანიკო ხომასურიძე ლოლობერიძის დაკარგვას.

უახლოესი ამხანაგები: ლ. ქაჯაია, დ. პეტრაევა, კ. ბალავაძე, მ. თოიძე, ქ. ქაჯაია, ქ. შავგულიძე, კ. აკერმანი და კ. რეხვიაშვილი იუწყებიან, რომ 6 მარტს 1 საათზე პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი ირა ჯაფარიძის დედის ევლამპია ჯაფარიძის ხსოვნის აღსანიშნავად.

იოსებ და მანანა მირიანაშვილები შვილებით და სიძეებით იუწყებიან ალექსანდრე (ხვთისო) ყარამანის-ძე მახაშვილის უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს.

მისამართები: რედაქციის რუსთაველის პროსპექტი № 16, გამომცემლობის რუსთაველის პროსპ. № 24. ტელეფონები: რედაქტორის 3—12—26, რედაქტორის მოადგილის 3—63—08, პასუხისმგებელი მდივნის 3—96—38, მასობრივი განყოფილების 3—78—24, პარტმშენებლობის განყოფილების 3—57—81, სამრეწველო განყოფილების 3—72—40, სტამბის 3—27—04, გამომცემლობის 3—51—81 ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს.

სტამბა „კომუნისტი“. [illegible] ქ. № 58

მთავლიტის რწმუნებული ა—9396